პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

16 დეკემბერი
პარასკევი

1918. სრულიად რუსეთის მუშების და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა.
1911. სამხრეთ პოლიუსის აღმოჩენა ე. ანდერსენის მიერ.
1905. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დაპატიმრება.

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 238 პარასკევი, 16 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 16 დეკემბერი, 1921 წ. № 238

თბილისის და ბათუმის საბჭოების არჩევნების შემდეგ ჯერი მიდგა პროვინციაზე

მთელი საქართველო უნდა მოიფინოს მუშების, გლეხების, წითელ-არმიელებისა და მატროსების საბჭოებით.

ამხანაგებო! საქართველოს მუშებო და გლეხებო!

ემზადეთ არჩევნებისთვის.

მოაწყვეთ თქვენი ძალა-უფლების ორგანოები შრომის რეჟიმის განსამტკიცებლათ, შინაური და გარეშე მტრების შესამუსრავათ.

მიბაძეთ თბილისისა და ბათუმის მუშების მაგალითს.

შაბათს, 17 დეკემბერს საღამოს 6 საათზე

ყ. ქალ. რევკომის შენობაში შესდგება

თბილისის მუშების და წითელ არმიელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

დღის წესრიგი.

1) პრეზიდიუმის მოხსენება.
2) ქალაქის რევკომის ანგარიში.
3) მიმდინარე საქმეები.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

თბილისი და ბათუმი უკვე საბჭოთა ქალაქებია. რევკომებმა აქ ადგილი დაუთმეს არჩევნებიდან გამოსულ მუშათა და წითელარმიელთა საბჭოებს. პროლეტარულ რევოლიუციის პირველი ხანა განვლილია და მშრომელთა დიქტატურა ჩამოყალიბდა ნორმალურ ფორმაში.

დიდია მნიშვნელობა თბილისის და ბათუმის საბჭოების, საბჭოთა საქართველოს აწმყო ვითარება წინამძღოლის და მოთავის როლს აკუთვნებს მათ. მაგრამ წინამძღოლს და მეთაურს ზურგს უკან უნდა ჰყავდეს ძლიერი, მტკიცე ჯარი. თბილისის და ბათუმის მაგალითს მიბაძავენ საქართველოს დანარჩენი ქალაქები: ფოთი სოხუმი, ქუთაისი, სამტრედია, ხაშური, ბორჯომი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე და სხ., სადაც პროლეტარული, მოწინავე ელემენტი ბლომადაა, უეჭველია, ადვილათ ჩაატარებენ საბჭოთა არჩევნებს და აირჩევენ მშრომელთა ძალაუფლების ნამდვილ დამცველებს.

მაგრამ ქალაქების საბჭოები ორგანიულათ გადაჭდობილი უნდა იყვენ სოფლის საბჭოებთან, ერთი მაგარი ჯაჭვის რგოლებს უნდა წარმოადგენდენ. თუ სოფლის საბჭო ნაკლებ ძლიერი და მტკიცე დარჩა, მთელი ჯაჭვი სუსტი იქნება. ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია უნდა მივმართოთ სოფლისაკენ, ყველა ძალები მაზრებში უნდა დავაბანდოთ საარჩევნო კამპანიის დროს.

უკვე დანიშნულია ცენტრალური კომისია საბჭოთა ყრილობის მოსაწვევათ. კომისიის დანიშნულებაა ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილებს საბჭოთა არჩევნების საქმეში ინსტრუქციის მიწოდებით და ყველა იმ საკითხების გადაჭრით, რასაც არჩევნებთან აქვს კავშირი.

კომისია უკვე შეუდგა მოქმედების გეგმის გამომუშავებას. ადგილებს მოკლე ხანში დაეგზავნებათ ინსტრუქცია. ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა დაუყონებლივ უნდა შეუდგენ საარჩევნო სამზადისს. საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში აგებულ მშრომელთა სიმაგრეს ირგვლივ უნდა აღიმართონ მშრომელ გლეხთა ძალაუფლების კოშკები.

პროლეტარულ და გლეხთა საბჭოების კავშირი უმტკიცესი საფუძველი იქნება პროლეტარულ რევოლიუციისა ჩვენში. საბჭოთა სისტემა საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული შეიქნება მთელი საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე, რომელიც უნდა შესდგეს არა უგვიანეს 25 თებერვლისა, საბჭოთა გადატრიალების წლის თავის დღისა.

კეთილშობილი მამხილებელი მაკდონალდი

როგორც ცნობილია, ლონდონი სარეზიდენციო ქალაქია არა მხოლოდ წვრილ ხალხების უფლებებზე დღე და ღამე ფიქრით ძილ გატეხილი ლორდ კერზონისათვის, არამედ ყვითელ სახის მისი თანამებრძოლის (მეორე ინტერნაციონალიდან), რამზეი მაკდონალდისათვისაც, რომლის თავის ქალას ქვეს ზის ზღარბი და არ აძლევს მოსვენებას მის კეთილშობილურ ფიქრებს ხალხთა დემოკრატიულ უფლებებზე და თვით-გამორკვევაზე. ხალხთა ლიგის და მეორე ინტერნაციონალის ამ რაინდებმა გაიყვეს ერთმანეთში შრომა: ერთი უშენს მოსკოვის საბჭოთა მთავრობას საერთაშორისო ჯაშუშებისა და პროვაკატორების ლაბარატორიის „სარწმუნო ფაქტებით“ დასაბუთებულს ნოტებს, მეორე, როგორც წინასწარმეტყველი იერემია, ამხელს უსჯულო ბოლშევიკებს და ითხოვს მათგან რეფერენდუმის და პლებისციტის მოხდენას საბჭოთა ფედერაციის განაპირა ადგილებში.

ლორდ კერზონის კეთილშობილური ინიციატივა შეეჯახა არა მხოლოდ ამხ. ჩიჩერინის, არამედ ამხ. რადეკის მამხილებელ სიჯიუტეს. ბოლშევიკების დავითის ამ მხელის შემდეგ ინგლისის გოლიათი ამყრალდა მთელ მსოფლიოზე და საბჭოთა რუსეთის ჯიშიან იმპერიალისტის მიერ მფარველობის ქვეშ აყვანილი ხალხები აქამდისაც არიდებენ ცხვირს იმ სურნელებას, რომელსაც ავრცელებს კეთილის-მყოფელი კერზონის დიპლომატიური საქმიანობა.

ასეთივე გამარჯვება იგემა კომუნისტების მამხილებელმა, მოქ. მაკდონალდმა.

ჩვენ მკითხველებს ემახსოვრებათ მისი გამოსვლა მიმდინარე წლის ზაფხულში: უჭერდა რა მხარს თბილისის მენშევიკების ბრძნულ დადგენილებას მე-2 ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მან მიმართა წინადადებით საქართველოს საბჭოთა მთავრობას მოაწყოს „ქართველ ამრჩევლების თავისუფალი ხმის მიცემა იმ საკითხის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფოებრივი ფორმა სურს უმრავლესობას“. ამასთან, ხმის მიცემის კანტროლი უნდა გაეწია „მთელ დანარჩენ ქვეყნების სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების შერეულ კომისიას“.

საქართველოს რევოლიუციონურმა და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა მიმართეს საერთაშორისო პროლეტარიატს საპასუხო მოწოდებით, სადაც აშკარავდებოდა „უმრავლესობის“ და „ქართველი ამომრჩევლების“ სურვილების შესახებ ჭირისუფლების მთელი ზრახვები.

ბატონი ქართველი მენშევიკები არ ფიქრობდენ საქართველოს მუშა—გლეხების უმრავლესობის ნებისყოფაზე, როდესაც მოღალატურათ სცემდენ დანას რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას ზურგში.

მენშევიკების მემამულე-ბურჟუაზიულ წესწყობილების და რუსეთისაგან გამოყოფის წინაამდეგ აჯანყებულ უმრავლესობას მენშევიკები, იმპერიალიზმის ჯარების დახმარებით, ზარბაზნებით, ტყვიის-მფრქვეველებით, ცეცხლით და შიმშილის ბლოკადით ეკვეთენ მთელ რიგ მაზრებში. ბატონ მაკდონალდებს მაშინ არ მოაგონდათ „დემოკრატიზმი“, „რეფერენდუმი“ და სხვ. არ მოაგონდათ მათ ეს კარგი საშუალებები ირლანდიისთვის, ინდოეთისათვის და ინგლისის სხვა კოლონიებისათვის, სადაც ასი წლების განმავლობაში ითელება კერზონისა და ჩერჩილის არმიის ჩექმის ქუსლებით მშრომელების ნება და სურვილები.

ჩვენ ვუპასუხეთ იმპერიალიზმის მოციქულებს: მოიხმარეთ დემოკრატიზმი თქვენში, თქვენ დამონებულ კოლონიებში. და საქართველოს შესახებ კი იცოდეთ, რომ თავის არსებობის მრავალი თვის განმავლობაში აქ, საბჭოთა ხელისუფლებას არ გაუგონია მუშებისა და გლეხების არც ერთი პროტესტი და უკმაყოფილების გამოხატვა; იმპერიალიზმის მონობისა და მისი ლაქიების, მენშევიკებისაგან განთავისუფლებულ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მომხდარა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მშრომელი მასსების ეს ფაქტიური ნების გამოხატულება მიიღებს ფორმალურ დასტურს მუშების საბჭოს არჩევნებში და საბჭოების ყრილობაზე, რომლებიც შესდგება ახლო მომავალში.

რა შეუძლია გვიპასუხოს ამაზე ბ. მაკდონალდმა? რასაკვირველია, არაფერი არსებითად. ის კმაყოფილდება მოკლე პასუხით, რომელიც ჩვენ გადმოქვცა ამხ. კლიშკომ, სადაც, ჩვენ მოწოდებას აფასებს, როგორც „ფაქტების შეთითხვნას და ფაქტების განზრახ დამახინჯება“-ს. იმის გამო კი, რომ საბჭოთა საქართველომ არ იცის ხალხის მასების აჯანყება, ბ. მაკდონალდი ამღერებს „ხალხთა ლიგის“ მესვეურების კილოზე: „დავტოვოთ განზე ყველა უაზრო პოზები, დოკუმენტის აზრი კი ისაა, რომ რუსეთის მთავრობა ფიქრობს განაგრძოს საქართველოს სამხედრო ოკუპაცია; ამავე დროს ის გახარებულია იმ ფაქტით, რომ მისი წითელი არმია საკმაოდ შეუბრალებელია იმისთვის, რომ საქართველოს რომელიმე აჯანყებას შეეძლოს წარმატებით განვითარება“. ტიპიური მსჯელობაა ყვითელი გმირისა ყვითელ ინტერნაციონალიდან. საბჭოთა საქართველოს მოწოდების გამო ის ცდილობს გამოააშკარაოს საბჭოთა რუსეთის მთავრობა:—ვინ თუ არა საერთაშორისო რეაქციონურ იმპერიალიზმის სიკოფანტი მოიფიქრებს ასეთ აფერისტულ ოინბაზობას? რუსეთის წითელი არმია იმყოფება საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე მთავრობის მოწვევით და რუსეთისა და საქართველოს საბჭოთა მთავრობების კონვენციის მიხედვით. ეს იცის ბ. მაკდონალდმა სწორედ ისე როგორც იცის მან ის, რომ გერმანია-ოსმალეთის და შემდეგ ანტანტის იმპერიალისტურმა ჯარებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია, თუმცა საქართველოს მენშევიკების მოწვევით და იმავე მაკდონალდის თანხმობით.

ბ. მაკდონალდის სილოგიზმი იმაზე, რომ საქართველოში არ ყოფილა მუშების და გლეხების აჯანყება, მაშასადამე, წითელი არმია შეუბრალებელი და დაუზოგველია,—ღირსია რომ შეტანილ იქნეს პროლეტარიატის ბანაკში ბურჟუაზიის აგენტის ნამსახურებითი ფურცელში. დაუზოგველობა და შეუბრალებლობა იყო მთავარი დამახასიათებელი თვისება ვილჰელმის, ოსმალეთის სულთანის, ინგლისის მეფის და მენშევიკების შავყვითელ არმიებისა, მაგრამ საქართველო მათ მიერ ოკუპაციის დროს იწვოდა მუშების და გლეხების აჯანყებების ცეცხლში ორი წლის განმავლობაში.

დაუზოგველი და შეუბრალებელი არიან ბ. ჩერჩილის საკოლონიო ჯარები, მაგრამ ირლანდია, ინდოეთი და სხვა ოლქები დიდი ბრიტანეთის იქცნენ დაჩაგრულ მასების განუწყვეტელ აჯანყებების სარბიელად სასტიკი დამმონავებლების, ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

წითელი არმია მუშების და გლეხების შეიარაღებული ძალაა. იგი მუშების და უღარიბეს გლეხების სოციალურ იდეალების მატარებელია. იგი დამცველია მშრომელების საბჭოთა ხელისუფლების. და თუ საქართველოში წითელ არმიას, სამხედრო ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ პირდაპირ არაფერი აქვს გასაკეთებელი, გარდა მზადებისა შესაძლებელ ბრძოლებისათვის ანტანტის და მისი დამქაშების საინტერვენციო ურდოების წინააღმდეგ,—ეს საუკეთესო მაჩვენებელია, რომ საქმე არა წითელ არმიის დაუზოგველობაშია, არამედ იმაში, რომ საქართველოს მუშები და გლეხები სავსებით უჭერენ მხარს თავის საბჭოთა ხელისუფლებას. ეს მათ დაამტკიცეს და ამტკიცებენ საბჭოს არჩევნებზე, ამას ისინი დაამტკიცებენ თავის საბჭოების ყრილობ ზე.

ამგვარია საქმეთა ვითარება, ბ. მაკდონალდო!

ასე, და მხოლოდ ასე, მაგრამ არის საშიშროება, რომ ბურჟუაზიული დალტონიზმით დაბნელებულნი 2 ინტერნაციონალის გმირები მალე ვერ გაერკვევიან მდგომარეობაში; ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ საბჭოთა რევოლიუცია მეტროპოლიებში არ აიძულებს მათ იგრძნონ ინგლისის, საფრანგეთის და სხვათა წითელი არმიის დაუზოგველობა ბურჟუაზიის მიმართ, და მისი გმირული მზად ყოფნა ბრძოლისა და ტანჯვისათვის მშრომელთა განსათავისუფლებლად იმპერიალიზმის და მისი დაქირავებულთა უღლიდან.

„კეთილშობილნი“ მამხილებელნი მხოლოდ მაშინ იპოვიან თავის ადგილს ისტორიის სასაკლაოზე.

მ. თ.

თბილისის საბჭოში

სია თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისა

რომელნიც არჩეულ იქნენ თბილისის საბჭოს პლენუმზე 10 დეკემბერს.

1. ლადო დუმბაძე, 2. ფილიპე მახარაძე, 3. მამია ორახელაშვილი, 4. სერგი ქავთარაძე, 5. ალექსანდრე გეგეჭკორი, 6. ბუდუ მდივანი, 7. კოტე ცინცაძე. 8. ივანოვ-კავკასსკი, 9. ნიკოლოზ კიკნაძე, 10. ლევან ღოღობერიძე, 11. მიხეილ კახიანი, 12. გიორგი ყურულაშვილი, 13. ალექსანდრე ობოლაძე, 14 მურჩილაძე, 15. ბენ. კალანდაძე, 16 მიხაილოვისა, 17. ასრიბეკოვი, 18. ჯორბენაძე, 19. ალი-ტაკი ზადე, 20. გიგო კიკნაძე, 21. ბაქრაძე, 22. ილია წივწივაძე, 23. მიხეილ ჩხეიძე, 24. თევდორე ღლონტი, (მემარცხ. ს.-ფედ., 25. სამხარაძე, 26. სედრაკ სააკოვი, 27. ალექსი პოპოვი, 28. არაკელ ოქუაშვილი, 29. სიმონ სხირტლაძე, 30. დატუნოვი, 31. ნიკოლოზ ოკუჯავა, 42. ლისოვსკი, 33. ზაქარია ივანოვი, 34. ელიავა, 35. ელკინი.

კანდიდატები

1. ცომაია, 2. ვანო ბოლქვაძე, 3. მაჩაიძე, 4. ფარცხალავა, 5. ს. თოდრია, 6. ქუქუკაშვილი, 7. საბაშვილი, 8. ა. მიქაძე, 9. ავენირ, 10. აბნო, 11. ჩანაშვილი.

საბჭოების მე-9 ყრილობაზე

1. ლ. დუმბაძე, 2. ბ. მდივანი. 3. ღოღობერიძე, 4. მიხეილ ოკუჯავა, 5. ობოლაძე, 6. ფრიდონოვი, 7. ჯორბენაძე, 8. ალი-ტაკი-ზადე, 9. საბაშვილი, 10. ჯილავდაროვი, 11. გიკო კიკნაძე, 12. სიზონტენკო, 13. ფ. ღლონტი, 14. დევდარიანი, 15. გეგეშიძე.

თბილისის საბჭოს აღმ. კომიტეტის სხდომა.

(ა. წ. 12 დეკემბერს)

პრეზიდიუმი.

დამტკიცებულია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. დუმბაძე, ალ. გეგეჭკორი, ი. წივწივაძე, მაჩაიძე, ბაქრაძე, ნიკო კიკნაძე, ლევან ღოღობერიძე.

განყოფილებათა გამგენი.

დამტკიცებულია: კომუნისტურ განყოფილების გამგედ ამხ. წივწივაძე, შინაგანი მმართველობისა—ამხ. მაჩაიძე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობანი დაეკისრა ამხ. ალ. გეგეჭკორს.

მუშაობის გეგმა.

პრეზიდიუმს წინადადება მიეცა შეადგინოს მუშაობის გეგმა და დასვას აღმასრულებელ კომიტეტის უახლოეს სხდომაზე, რომელიც დანიშნულია 17 დეკემბრისათვის,—შაბათი, საღ. 6 საათი.

საბჭოს მეორე სხდომა,

საბჭოს მეორე სხდომა დაინიშნა 19 დეკემბრისათვის—ორშაბათი, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში,

ხმამაღალი დუმილი

ინგლისის უმუშევრების დემონსტრაცია უცნობი მხედრის ძეგლთან

ანტანტის იმპერიალისტურ მტაცებლებისაგან კონკურენტის—ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოების—განადგურების შემდეგ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გადიხადონ გამარჯვების დღესასწაული.

გამარჯვების სიმბოლოთ აირჩიეს ბრძოლის ველზე დაღუპული უცნობი მხედარის გვამი. მთელი ფარისევლური ცერემონიით უცნობი მხედრის გვამი მეფური პატივისცემით გადმოიტანეს სამხედრო გემით საფრანგეთიდან ინგლისში. კუბო ხელით მოჰქონდათ ამა ქვეყნის ძლიერთა წარმომადგენლებს—უმაღლეს სამხედრო წოდებას, ლორდებს მემამულეებს) და კაპიტალისტებს.

ამ უცნობ პროლეტარს თუ გლეხს საფლავისთვის ამოურჩიეს მეტად „საპატიო“ ადგილი. ის დაასაფლავეს ლონდონში ვესტმინისტერის სააბატოში ინგლისის მეფეების საფლავებს შორის.

დღესასწაულის ცერემონიალში მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ორი წამის სიჩუმე. მთელ ინგლისში განსაზღვრულ დროზე ყველაფერი უნდა გაჩუმებულიყო-გაჩერებულიყო: მატარებლები, მანქანები, ელექტრონის ძალა, ტელეგრაფი, ფეხით მიმავლებიც კი უნდა გაჩერებულიყვნენ და დამდგარიყვნენ ადგილზე ორი წამის განმავლობაში.

დაადგინეს ეს დღესასწაული დააწესონ ყოველი წლის 11 ნოემბერს.

გამარჯვებულ ექსპლოატატორების ფარისევლური დღესასწაული პირველად არ დარღვეულა რაიმე ექსცესებით. ჯერ კიდევ იყვნენ ხალხის მასები მოწამლული შოვინისტური შხამით. დათხოვნილი ჯარისკაცები კიდევ შოულობენ სამუშაოს, ხალხს კიდევ არ დაეკარგა რწმენა, რომ ომის გათავება მიიყვანდა მათ თავისუფლება—კეთილ დღეობამდი, რაშიდაც მათ განუწყვეტლივ არწმუნებდენ იმპერიალისტური გაიძვერები.

მდგომარეობა შეიცვალა 1921 წელში. უდიდესი სამრეწველო კრიზისი მოედო მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს. ვერ გადაურჩა ამ კრიზისს ინგლისიც. ერთი მეორეზე იკეტებოდენ ფაბრიკა—ქარხნები და ქუჩაში რჩებოდა ასი და ათასი პროლეტარები. კაპიტალისტებმა დაიწყეს შეტევა მუშათა კლასის მონაპოვარის წინააღმდეგ, ამცირებდენ ხელფასს და აგრძელებდნენ სამუშაო დღეს.

1921 წლის 4 ნოემბრისათვის, ინგლისის შრომის სამინისტროს ოფიციალურ ცნობების მიხედვით, შრომის ბირჟაში ჩაწერილ უმუშევართა რიცხვი ავიდა 1722,800 კაცამდი. ერთი კვირის განმავლობაში, 28 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდი უმუშევართა რიცხვი გაიზარდა კიდევ 111,324 კაცამდი. აქ არ შედის 337,899 უმუშევარი, რომლებმაც ვერ მოასწრეს რეგისტრაციის ყველა ფორმალური მხარის შესრულება. ოჯახის წევრებთან ერთად საშიმშილოდ ბედ-გადაწყვეტილი ხალხის რიცხვი შეიძლება დავთვალოთ 6,000,000 კაცამდი.

უმუშევრები დელეგაციას დელეგაციაზე აგზავნიდენ ლლოიდ-ჯორჯთან, პარლამენტში და სხვ. მაგრამ ლლოიდ-ჯორჯმა არ მიიღო დელეგაციები და პარლამენტი კი კვებავდა მუშებს ცარიელი სიტყვებით.

შეხედეს რა, რომ თხოვნები საქმეს არ შველის, უმუშევრებმა გადასწყვიტეს მოეწყოთ დემონსტრაცია ბურჟუაზიის საზეიმო უცნობი მხედრის დღეს, როდესაც მოკლულ პროლეტარს, ფარისეველი მწამებლები და ცოცხალი პროლეტარების სისხლის მსმელები, ასეთ პატივს სცემენ.

აი, როგორ აგვიწერს ამ დემონსტრაციას ლონდონის 1921 წ. 12 ნოემბრის გაზეთი „დეილ-ჰეროლდი:“

„ოცი ათასი უმუშევარი, უმეტესათ ყოფილი ჯარის კაცები, მოვიდენ შესაკრებათ დანიშნულ ადგილზე მიუხედავად იმისა, რომ უბერავდა ძალიან ცივი ქარი და რომ ბევრ მათგანს დილიდან არ ეჭამათ.

„ქალაქის განაპირა ნაწილებიდან უმუშევრებმა დაიწყეს თავის მოყრა დილით ადრე. ბევრი მოვიდა ფეხზე დამდგარი საბარგო ავტომობილებით, ლინეიკებით და სხვ.

„უმუშევრების ქალაქში გავლის დროს მუშები მეტად თანაგრძნობით ესალმებოდენ.

„მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრები შეიკრიბენ ადგილზე დილის 11 საათზე, პოლიცია საათობით აჩერებდა მათ ძლიერ სიცივეში.

„აგრეთვე პროვოკატორებსაც არ ეძინათ ამ დროს და სცდილობდენ გამოეწვიათ მუშები ექსცესებზე და მოეწყოთ ხოცვა-ჟლეტა.

„პოლიციის ბოქაულმა დააკავა კემბერ-უელსის მუშების დიდი მასსები, და უბრძანა მათ გვირგვინებისათვის მოეხსნათ ლენტები, რომლებზედაც ეწერა:

(ზევით)

„უღრმეს სიმპატიის ნიშნად კემ-

ბერ უელსის მუშებისაგან".

(ქვევით)

კაპიტალიზმის ცოცხალი მსხვერპლებისგან—კაპიტალიზმის მკვდარ მსხვერპლებს".

„ბოქაულმა, რომელიც, რასაკვირველია, მოქმედებდა დირექტივების თანახმად, განუცხადა უმუშევრებს, რომ თუ ისინი არ დაემორჩილებიან მის ბრძანებას, ის იმათ წინ აღარ გაუშვებს.

— „თუ თქვენ გაქვთ წარწერის ჩამოხსნის უფლება, უპასუხეს მას უმუშევრებმა, ჩამოხსენით".

„ბოქაულმა აიღო დანა და ჩამოსჭრა წარწერის ქვევითა ნაწილი.

„ასეთი პროვოკაციული მეტიჩრობის წინააღმდეგ პროტესტისაგან თავი შეიკავეს უმუშევრებმა და გაიარეს შემდეგ სხვა გვირგვინებით ლენტებზე ანალოგიური წარწერებით.

„უნდა გარკვევით ითქვას, რომ უმუშევარ დემონსტრანტების განსაკუთრებული სიმშვიდის და მოთმენის გამო მთავრობის შეურაცყოფამ და მიზეზის ძებნამ ვერ გასჭრა გამოეწვია საშინელი სისხლის ღვრა.

„ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული ათასი ხალხის შუა მიდიოდა უმუშევრების ეს ვეებერთელა მასსა ბლეკფრაიარსის ხიდიდან ჩეირინგ—კროსამდი.

„დროშები, რომლებიც მოჰქონდა უმუშევრებს უსიტყვოთ, მაგრამ ყველასთვის გასაგები ენით, ლაღადებდენ უბედურების და წამების ტრაგიკულ ისტორიას, რამაც გამოიწვია თანაგრძნობა ღარიბთა მასებში.

„განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდენ შემდეგი წარწერები:

1914 წ. ვარსკვლავი (სტარ.

1921 წ. ტანჯვა (სტარ—ვეიშნ)

(სტარ ინგლისურათ ნიშნავს ვარსკვლავს—იმედს სამართლიანობის და კეთილდღეობას, რომლებსაც ჰპირდებოდენ იმპერიალისტები როგორც გერმანიაზე გამარჯვების საჩუქარს. სტარ-ვეიშნ-ტანჯვა—როგორც გამარჯვების შედეგი).

„ჩვენ ვართ უცნობი მხედრები".

„მოგვეცით ჩვენ დღეს სამუშაო ან გვაჭამეთ".

„ისინი დაიხოცნენ იმისთვის, რომ ჩვენ ვიცხოვროთ... სილატაკეში".

წარწერა გვირგვინებზე:

„კაპიტალიზმის მსხვერპლებს,'რომლებმაც შესწირეს თავის სიცოცხლე რენტას, პროცენტებს და მოგებას.

„ზავის დამყარების მომსწრეთაგან, რომლების ტანჯვაც უფრო მწარეა სიკვდილზე იმავე უწმინდური ხამებისათვის".

„კაპიტალიზმის ცოცხალი მსხვერპლებისაგან კაპიტალიზმის მკვდარ მსხვერპლებს".

ბევრი უმუშევარი ატარებდა გულზე მედალიონის ლენტებს. ომში მიღებულ მედალიონები მათ დაეგირავებიათ ლომბარდში, რომ ეყიდათ პური. „ორი ვერცხლის მედალიონი, ორი შილინგი და ექვსი პენსი" ეწერა ლომბარდის ერთ კვიტანციაზე.

ერთი უმუშევრის პალტო დაფარული იყო კვიტანციებით. იქ იყო ფეხსაცმელების, ტანისამოსის, საოჯახო ნივთების, ქორწინების ბეჭდის, მედალიონის და სხვ. კვიტანციები. სხვებს ჰქონდა ექვსი და მეტი კვიტანცია მიმაგრებული პალტოზე. აშკარა იყო, რომ უმუშევრებს დაეგირავებიათ ყველაფერი რასაც კი რაიმე ფასი ჰქონდა. ლომბარდის კვიტანციის მატარებლებს თითქმის ყველას დასანახ ადგილზე უჩანდა ლომბარდის კვიტანცია დაგირავებული მედალიონისა, რომელიც მათ მიიღეს სამხედრო ვაჟკაცობისათვის.

უმუშევრები მიდიოდენ და თხოულობდენ პურს. ძვირფას ბეწვეულობაში მორთული ქალები მდიდრულ ეტლებიდან უყურებდენ ამ პროცესიას, ცდილობდენ რაც შეიძლება ჩქარა გაევლოთ იქიდან.

ყველაზე წინ მიდიოდენ დემონსტრანტები. როდესაც გამოჩნდა სენოტაფი უცნობი მხედრის ძეგლი, დღესასწაულის უმთავრესი მომენტი) დემონსტრანტების წარმომადგენლებმა—უმუშევრების ნაციონალურმა საბჭოდგან მოიხადეს ქუდები და მათ შემდეგ ყველა უმუშევრებმაც.

როდესაც უმუშევრების არშიამ მიაღწია სენოტაფს, ასწიეს შავი აბრეშუმის ლენტებით ნაკერი წითელი დროშა და ოთხ-ოთხ კაცად დაყოფილი კოლონები გაემართა ორი მხრისაკენ—მარჯვნივ და მარცხნივ.

ახალგაზრდა ქალის პალტოზე წარწერით „უმუშევარი" დაეცა შიმშილისაგან ღონემიხდილი და უგრძნობელ მდგომარეობაში წაიღეს ამხანაგმა ქალებმა.

როდესაც დემონსტრანტების წინა ნაწილმა გაიარა სენოტაფი ათასი მუშების თანაგრძნობის ამოძახილთან ერთად მუსიკამ შეასრულა ჰიმნი „წითელი დროშა".

ამავე დროს ვესტმინსტერის საიბატტოში გახსნეს უცნობი მხედრის ახალი ეპიტაფი.

„უცნობი მხედარი დაკრძალულია მეფეებს შორის, ამბობს ეპიტაფი, იმიტომ, რომ დაცულ იქნეს ხსოვნა იმ მრავალთა, რომლებმაც შესწირეს ყველაზე უდიდესი, რის მიცემაც კი შეუძლია ადამიანს".

საფლავის ქვაზე გამოჭრილი იყო შემდეგი სიტყვები:

„სამართლიანობის წმინდა საქმისა და მსოფლიოს განთავისუფლებისათვის".

ლოიდ ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა, რომ „უცნობი მხედარი დაიღუპა, რომ უმუშევრების საშინელმა ტანჯვამ აწი ვერასოდეს ვერ შესძლოს მხარეში წამების გამოწვევა".

„დუმილის" წინ სამარი დროშა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იდო უცნობი მხედრის საფლავზე ასწიეს და წაიღეს საყდარში საკურთხათ...

ამ დღესასწაულის, იქ უმუშევრების როლის და მათი სურვილების კომენტარიების გაკეთება არ მოგვიხდება, რადგანაც ასე მკაფიოთ და გარკვევით სჩანს ის ხელი, რომელიც ხაზავს დიდბრიტანეთის კაპიტალიზმის კედელზე გრძნეულ სიტყვებს: მენე, ტეკელ, უფარსინ...

დაე, ურწმუნო თომები და რევოლიუციის იუდები ჩაუკვირდნენ კარგათ იმას, რაც ხდება ეხლა ინგლისში და გამოიტანონ დადგენილება...

უიმედოთ დაავათმყოფებული კაპიტალისტური მსოფლიო იხრწნება. ინგლისის მუშების დემონსტრაცია მოწმობს, რომ ინგლისშიაც ძველი ქვეყნის მესაფლავემ ნიჩაბს მოჰკიდა ხელი.

პ. ი.

წითელ რესპუბლიკებში

აზერბაიჯანში

ბაქოს საბჭოს ახალი შემადგენლობა.

დეპუტატთა საერთო რიცხვი უდრის 479 კაცს, რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდებიან: ქალაქში 103, რაიონებში 271, კავკასის კორპუსში 40, ბაქოს მაზრაში 65.

პარტიული შემადგენლობა: კომუნისტები 419, ანუ 87,5 პროცენტი, უპარტიო 60 ანუ 12,5 პროც. ეროვნული შემადგენლობა: რუსები 231 ანუ 48,5 პროც. მუსულმანები 188 ანუ 39.3 პროც. სომხები 30 ანუ 6.2 პროც. დანარჩენი ეროვნებანი 30, ანუ 6,2 პროც.

პოლიტ განათლების ყრილობა.

3 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა მთელი აზერბაიჯანის პოლიტ-განათლების განყოფილებათა და საგიტაციო განყოფილებების ყრილობა. ყრილობის შემადგენლობა მრავალრიცხოვანი არ არის. ეს პირველი ყრილობაა, რომელმაც უნდა პირველად გამოამჟღავნოს და გააშუქოს პოლიტიკურ გამანათლებელ მუშაობის ყველა დეფექტები. მუშაობა მიმდინარეობს საქმიანად და სერიოზულად. ყრილობის პროგრამაში შეტანილია შემდეგი საკითხები: 1) ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ძირითადი მიზნები, 2) მოხსენება სრულიად რუსეთის პოლიტ-განათლების ყრილობის შესახებ, 3 აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის პოლიტ-განათლების ანგარიში, 4 მოხსენებები ადგილებიდან, 5 განათლების მუშაობის ფორმები და მეთოდები, 6 წერა-კითხვის უვიცობის ლიკვიდაცია.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

ვერსალის ხელშეკრულება კი არა, არამედ ევროპის ხსნა.

ნაუენი. 11 დეკემბერი, (რადიო). ლუშერის ჩამოსვლას ლონდონში შედეგად მოჰყვა ბრიანისა და ლოიდ ჯორჯის თათბირის საჭიროება, რადგანაც, უკანასკნელის აზრით, გერმანიის მორატორიუმის საკითხის გადაჭრა მსოფლიო ეკონომიურ პრობლემის გადაჭრის გარეშე არ შეიძლება. ლოიდ ჯორჯმა შეიმუშავა ეკონომიურ აღორძინების გეგმა, რომლის განხილვაც, მან გადასწყვიტა ბრიანთან ერთად. ამასთან ერთად დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ბრიტანიის მთავრობა გადაუწყვეტია კონტრიბუციის პრობლემა განიხილოს მცირე აზიის საკითხთან ერთად. გაზეთები ამტკიცებენ, თუმცა ეჭვი არაა იმაში, რომ ინგლის—საფრანგეთის შეთანხმება მიღწეულ იქნება, მაგრამ უკანასკნელ კვირის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საფრანგეთის მთავრობა მაინც დაიწყებს თავისებურად სერიოზულა დაბრკოლებების წარმოებას და ხელს შეუშლის საკითხს გერმანიის ზოგიერთ დათმობის შესახებ. „ტაიმსის აზრით ამ ჟამად საქმე იმდენად იმას კი არ ეხება, თუ როგორ იქნეს დაცული ვერსალის ხელშეკრულება რამოდენადაც იმას, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფილ იქმნეს მოკავშირეთა ძალები, ევროპის სახსნელად, საერთო ფინანსიურ ნგრევის შედეგებისაგან. გაზ. „ფორვერტსი" უკეთებს რა ანალიზს შექმნილ მდგომარეობას, სწერს: „კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ ანტანტა გადავა გერმანიის მხარეზე და გაუგრძელებენ მას ვადას ვალის გადახდაზე, მაინც ევროპა ეკონომიურ და პოლიტიკურ კატასტროფას თავს ვერ დააღწევს.

ანტანტის დათმობანი საეჭვოა.

ნაუენი. 11 დეკემბერი, რადიო). გერმანიის ეკონომიურ საბჭოში მოხსენება წაიკითხა ექიმ სორგემ გერმანიის მრეწველობის შესახებ. მან განაცხადა, რომ გერმანიის მწარმოებელთა ასოციაციამ გადასწყვიტა წარმოების უზრუნველსაყოფად მომავლისთვის გადასცეს მთავრობის განკარგულებაში სახლვარ-გარეთის კრედიტები იმ რაოდენობისა, რომელიც საკმაო იქნება მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფისთვის მომავალში. კრებაზე დამსწრე კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეულია იმ თანხების დამზადებაზე, რომელიც საჭიროა ანტანტის ვალის გადასახდელად იანვრისა და თებერვლის ანგარიშში. ეკონომიურმა საბჭომ აღნიშნა, რომ ამ ვალის გადახდას გერმანია ამ ჟამად ვერ შესძლებს. კანცლერმა ვირტმა შემდეგ ამისა განაცხადა: გერმანიის მთავრობამ ფორმალურად აღიარა, რომ გერმანიის ეკონომიური დაქვეითება უდიდეს ზიანს მოუტანს მსოფლიო მეურნეობას. ვირტმა სთქვა, ვალის გადახდის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო რატენაუს მოსვლამდე; თუმცა გერმანიის მთავრობა წინდაწინვე ეჭვის თვალით უცქერის შესაძლებელ დათმობას ანტანტის მხრივ.

გერმანიის განიარაღება.

ჰანნოვერი. 11 დეკემბერი, (რადიო). ანტანტის სამხედრო—პოლიტიკურ წრეებში ხელ ახლა ჩამოაგდეს ლაპარაკი გერმანიის სამხედრო ძალების შესახებ.

იქ ამბობენ, თუ გერმანია განიარაღებულია ამ ჟამად და უძლურია საფრანგეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად, სამაგიეროდ იგი საკმაოდ ძლიერია აწარმოოს ომი პოლონეთის წინააღმდეგ. ამ ომს იგი ბრწყინვალედ გადიხდის თვის არტილერიის უპირატესობის გამო. წამოყენებულია წინადადება აეკრძალოს გერმანიას სამხედრო ყოველგვარ იარაღის დამზადება.

ლიტვა.

ბოლმარის რაიონში ბევრი კომუნისტი დააპატიმრეს. თვით ბოლმარში ახალგაზრდათა ორგანიზაციიდანაც არიან დაპატიმრებულნი. სულ დაპატიმრებულთა 150 კაცი.

რუმინია.

ანარქისტების პროცესი.

მოელიან ანარქისტების პროცესს, რომელთაც რუმინიის სენატზე თავდასხმა ბრალდებათ. რუმინიის პოლიცია ცდილობს ამ პროცესში ჩაითრიოს რუმინიის ციხეში დამწყვდეული ყველა პატიმრები, მათ რიცხვში ზომიერი სოციალისტებიც კი. ამ პროვოკაციის წინააღმდეგ მუშები დიდ პროტესტს აცხადებენ.

იაპონია

რევოლიუციონური მოძრაობა.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. (რადიო. იაპონიის პრესა იტყობინება, რომ იაპონიის ჟანდარმერიის მიერ აღმოჩენილია 7 სოციალისტური ორგანიზაცია; იპოვეს მთელი საწყობები ლიტერატურისა რომელსაც ჯარში ავრცელებდნენ, დაპატიმრებულთა შორის უოევიან სოციალისტურ პარტიების გამოჩენილი წევრები და ტოკიოს კომუნისტების ბელადი საკაი. იაპონიის მთავრობამ ისარგებლა შემთხვევით და სცდილობს დაამტკიცოს რუსეთის ზედგავლენის საჭიროება, შორეულ აღმოსავლეთის ოკუპაციის საჭიროება და განსაკუთრებულ ზომების მიღება იაპონიის კომუნისტების მიმართ.

ინგლის—გერმანიის დამოკიდებულება.

ლონდონი. 12 დეკემბერი, (რადიო). ლოიდ ჯორჯს განუცხადებია, რომ მოსალოდნელია მორატორიუმის საკითხი გერმანიისათვის, ამ მოკლე ხანში, კეთილად გადასწყდეს. ბრიანი მიემგზავრება ლონდონს ამ თვის 17-ს. და ამავე დღეს ლოიდ ჯორჯსა და ბრიან შორის მოხდება თათბირი გერმანიის საკითხის შესახებ. ლოიდ ჯორჯი მოითხოვს დათმობის პოლიტიკას გერმანიისადმი. გერმა-

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

X

ეგებ გამოჩნდეს მაიმუნები...

მალე პოლონეთის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ პარიზის თეთრგვარდიელთა ერთ-ერთ სალონში რომელიღაც გენერალმა, თავის დაბნეულ და დაღონებულ კოლეგების სანუგეშოდ სთქვა:

— შეხედეთ საბერძნეთს. ყველაფერი მოსჩანდა მკვიდრად და შეურყევლად. უცბად მოკვდა მეფე და ახმაურდა ვენიზელოსი. და, კიდევ როგორ!.. ხოლო რატომ? მაიმუნმა უკბინა. ეგებ ჩვენშიაც აღმოჩნდეს რომელიმე მაიმუნი.

მისტიურად განწყობილ გენერალს ქართველი მენშევიკები ყავდა მხედველობაში... ყირიმის ფრონტის არსებობის მიწურულისათვის ვრანგელსა და ჟორდანიას მთავრობას შორის ურთიერთობანი ნაზ მეგობრობის ხასიათს ღებულობდენ. აი რას სწერდა 1920 წლის 20 ოქტომბერს პორუჩიკი პოგოდინი სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების შტაბის უფროსს:

„...შეეცადეთ დაარწმუნოთ ვინც საჭიროა, რათა არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა, არ მიაკუთნონ საქართველოს მთავრობის ყველა უკანასკნელ მოქმედებებს, დაკავშირებულთ იმ ფაქტთან, რომ კრეისერმა, „ალმასმა" საქართველოს ნაპირებს დაუშინა. ყველას გაეგება, რომ კრეისერ „ალმასს" სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მაგრამ ცხადი უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა მომხდარი ამბებისათვის, საბჭოთა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, და იძულებული იყო, შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ეპასუხნა დაპატიმრებებით, პროტესტით და სხვა. მაგრამ იქონიეთ მხედველობაში, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არ ბუფფონადა, შესრულებული ბოლშევიკებთა შესაძლებელ გართულებათა ასაცილებლად. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არც ერთს არამც თუ ცნობილ ჩვენი ხელმძღვანელ მოღვაწეთაგანს, არამედ წვრილებთაგანსაც არ განუცდია შევიწროება ე. ი. არ ყოფილა დაპატიმრებული ან გადასახლებული, თუმცა მათი გვარები კარგად იცის, როგორც საგანგებო რაზმმა, ისე უმაღლესმა ხელისუფლებამ.

ამ ჟამად ფრიად საჭირო იქნებოდა გამოგვეყენებია საქართველოს მთავრობის ეს კარგი ნდობითი დამოკიდებულება ყირიმისადმი და, კერძოდ, ჩვენდამი. ხოლო ჩვენი სარდლობის მხრივ ფრიად სასარგებლო იქნებოდა ჩვენი საერთო საქმისათვის გამოგვეყენებია ეს ხელსაყრელი განწყობილება, საქართველოს მთავრობის მიმართ მეგობრული და ნდობითი დამოკიდებულების ცხადყოფით რაიმე განსაკუთრებული ფაქტით ან მოქმედებით. მე პირადად მგონია, ეს სავსებით იქნებოდა მიღწეული გენერალ-ლეიტენანტის, თავ. თუმანოვის დანიშვნით მთავარი სარდლობის წარმომადგენლად, თავ. ბელიქოვისა,—სარდლად ყველა მაზრების, ხოლო შემდგომში ჯარებისა, რომელნიც მონაწილეობენ თერგის მხარის და დაღესტნის განთავისუფლებაში ბოლშევიკებისაგან. ორივე ისინი ხულით არა ნაკლებ არიან რუსები, ვინემ თითეული ჩვენთაგანი და ამავე დროს მიუხედავათ მათი წინადადებისადმი უყურადღებობისა საქართველოს მთავრობის მხრივ, უკანასკნელის წევრთა შორის ისინი დიდი შედარებითი წონით და ნდობით სარგებლობენ. მათი დანიშვნის შემდეგ, უნდა მოველოდეთ, რომ საქართველოს მთავრობა აღმოგვიჩენს დიდ დახმარებას, და ბევრი შეუძლებელი რამ შესაძლებელი გახდება: ამ საკითხს მე შევეხე ჩემს წარსულს წერილში, რომლის ასლს გზავნი, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ".

იმ დროისთვის მენშევიკებს სევდიანი სულიერი განწყობილება ეუფლებათ. მენშევიკებმა იცოდნენ, რომ მოკავშირენი მზად არიან იბრძოლონ ბოლშევიკებთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. პოლონეთის, რუმინიის და სხვა ვასალურ სახელმწიფოების ჯარის-კაცებით, ამიტომ, გენერალ ვრანგელის უკანასკნელ რაზმების განადგურების შემდეგ და საბჭოთა ხელისუფლების გავრცელებისთანავე საქართველოს გარშემო, მათ იგრძნეს თავი მარტოხელა ქვრივის მდგომარეობაში, რომელიც დარჩა დასაყრდნობის მფარველის გარეშე. ამასთან უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროისათვის საქართველოსა და მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებ შორის ურთიერთობა ფრიად გამწვავებული იყო.

გარდა ამისა, თვით საქართველო განიცდიდა ღრმა ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისს, რომელიც, როგორც ეს ყოველთვის ხდება, გამოიხატა მოსახლეობის ფართე წრეების პოლიტიკურ განწყობილებებშიაც. საქართველოს ს.-დ. მ. პარტიაში მოხდა განხეთქილება. მის რიგებში დიდ უთანხმოებებმა იჩინეს თავი, ეგრედ წოდებული „სხიველები" აშკარად გამოდიან საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, მას უნდობლობას უცხადებენ თვით დამფუძნებელ კრებაშიაც.

ერთი სიტყვით, დაშლის და ზნეობრივი რღვევის ყველა ნიშნები თვალწინ იყო. მენშევიკები ცდილობენ მიიღონ ანტანტის დახმარება. ამ მიზნით ლონდონში მიემგზავრება „თვით" გეგეჭკორი. ის მიღებულიც კი იქნა ლოიდ-ჯორჯის მიერ, ჰქონდა მასთან საუბარი 40 წუთის განმავლობაში, როგორც ამას ტრაბახით იტყობინებოდა „ბორბა". მაგრამ ყველა ეს დიპლომატიური მოლაპარაკებანი მდგომარეობას ოდნავადაც ვერ ამსუბუქებდნენ. მოკავშირეები აგვიანებდნენ საქართველოს (იურიდიულ) ცნობას.

მიზეზი ანტანტის მიერ საქართველოს ცნობის უნდობლობისა აშკარად იყო გამოთქმული ხალხთა ლიგის სხდომაზე, რომელიც შესდგა 1920 წლის დეკემბერს ჟენევაში. მოკავშირე დიპლომატებმა საქართველოს პლატონიური სიყვარული აუხსნეს, მაგრამ ამასთან განაცხადეს, რომ აღიარება, ამა და ამ წესდების, ამა და ამ მუხლის თანახმად, გულისხმობს შეიარაღებულ დახმარების აღმოჩენას, ხოლო უკანასკნელ გარემოებაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკიც არ შეიძლება.

ამავე დროს საკითხი პირდაპირ იდგა. რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის, რომელმაც ეს ეს იყო მოსპო თეთრგვარდიელთა უკანასკნელი ფრონტი უამრავ მსხვერპლის და ღონისძიებათა საფასურით, პროლეტარიატისათვის, რომელიც სისხლიდან იცლებოდა ხანგრძლივი სამოქალაქო ომისაგან, არ იყო სხვა გამოსავალი მისთვის შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან, თუ არ მოსპობა მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელ ბაზისა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე.

ქართველ მენშევიკებს მშვენივრად ესმოდათ საქმეთა ვითარება. კ. კაუცკისთან გამოთხოვების დროს ა. ჩხენკელის მიერ დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმულ სიტყვაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყანა, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად მდებარეობს გზაჯვარედინზე, სადაც შეიძლება საბოლოოდ გადაიჭრას დავა ევროპიულ დემოკრატიზმსა და აზიურ ანარქიზმს შორის. იმედი გვაქვს რომ მძიმე ბრძოლის ამ ფრიად საპასუხისმგებლო ჟამს ჩვენ დაგვეხმარება საერთაშორისო დემოკრატია; ამას მოასწავებს თქვენი ჩამოსვლა შორეულ გერმანიიდან და ყოფნა ჩვენ შორის".

რა თქმა უნდა, საქართველოს ყველაზე ნაკლებ შეეძლო დახმარების მოლოდინი ჰქონოდა იმ "დემოკრატიისაგან", რომლის წარმომადგენელი არის გამოთაყვანებული მწიგნობარი კაუცკი. იგულისხმება, ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცალიერ სიტყვიერებასთან. მაგრამ მით უფრო დამახასიათებელია იგი: ებღაუჭებოდნენ ყოფილ ადამიანის კალთებს, ქართველი მენშევიკები ცხადყოფდნენ, რომ დამხრჩვალის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

მენშევიკური საქართველო ამავე დროს იძულებული იყო საქმეთა ვითარებით განეგრძო თავისი წინანდელი მუშაობა აჯანყებების მოსაწყობად ჩრდილო კავკასიასა, სომხეთსა და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში. აუცილებელი იყო გარეშე დახმარება, საჭირო იყვნენ მოკავშირენი.

მოვლენათა ლოღიკის ძალით, ქართველი მენშევიკები, გენერალ-ოპტიმისტის მსგავსად, „მაიმუნზე" ამყარებენ იმედს. 1921 წლის დასაწყისში ქართველი მენშევიკები ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ, ბოლოს, გადასწყვეტენ ლეგალიზაცია უყონ თავიანთი უკანონო ფარულ თანაცხოვრებას მრავალრიცხოვან კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებთან. აი რას გვეუბნებიან ამის შესახებ საბუთები.

საბუთი № 1

ანგორა, პარიზი, ლონდონი, რომი. ბერლინი, ვარშავა, ჰელსინგფორსი, რიგა, რეველი.

გარეშე საქმეთა მინისტრს.

1921 წლის 17 თებერვალს ქალ. თბილისში დაარსდა ადერბეიჯან-ჩრდილო-კავკასიის კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილო-კავკასიის და ადერბეიჯანის განთავისუფლებას ბოლშევიკურ-რუსეთის ოკუპაციისაგან, ჩრდილო-კავკასიის და ადერბეიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკების აღდგენას და კავკასიის კონფერენციის შექმნას. ცნობილი საქართველოს მთავრობის მიერ ჩრდილო კავკასიის და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა ხალხების ნებისყოფის ერთად ერთ გამომხატველად, კომიტეტი შეუდგა აქტიურ მუშაობას.

კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ:

1) თავმჯდომარე ჰაიდარ ბამმატი—ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი.

2) თავმჯდომარის მოადგილე—მუსტაფა ვექილოვი—ადერბეიჯანის რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი.

3) ალიხან კანტემირი—ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკისა ადერბეიჯანში და ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

5 ბაგირ რიზაევი—ადერბეიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი წევრი.

6) ფეხტი-ბეი.

კომიტეტის თავმჯდომარე ჰაიდარ ბამატი.

საბუთი № 2.

19 | 11

თბილისიდან—სასახლიდან ბათომში მთავრობის საგანგებო რწმუნებულს—გიორგაძეს. 793.

„გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა გაწვეულ იქნენ სათანადო გასაწვევ პუნქტებში ადერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკათა მოქალაქენი 20-დან 35 წლამდე და გამოგზავნოთ ისინი ცენტრალურ გასაწვევ პუნქტში—თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, სახლი № 8 და 4.

ადერბეიჯან-მთიელთა კომიტეტის თავმჯდომარე—ჰაიდარ ბამმატი,
მუსტაფა.
მდივანი—ბ. რიზაევი.

საბუთი № 3.

21 | 11 № 517 | 6 თბილისიდან.

„აბხაზეთის კომისარიატს, მთავრობის რწმუნებულს ბათომსა და მის ოლქში და ყველა სამაზრო და საქალაქო მილიციის ყველა უფროსებს.

„მთავრობის დადგენილების თანახმად, რომლის მიხედვით ყუბანის განთავისუფლების კომიტეტი ცნობილია ყუბანის ხალხის ნების ჭეშმარიტ გამომხატველად, ვბრძანებ აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება აღნიშნულ კომიტეტს ყუბანის მოქალაქეების არმიაში გაწვევის საქმეში.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი".

საბუთი № 4.

21 | 11 № 879 გენშტაბიდან ბათომში.

მთავრობის საგანგებო რწმუნებულს—გიორგაძეს.

„გთხოვთ მოძებნოთ და აცნობოთ ამ ჟამად ბათომში მყოფ ტიგრან ბეკზადიანს, რომ ის დანიშნულია სომხეთის ხსნის კომიტეტის მიერ წარმომადგენლად საქართველოში. ჩამოვიდეს დაუყონებლივ, ხელი შეუწყვეთ მის ჩამოსვლას.

გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი.

საბუთი № 5.

22 თებერვალი 1921 წ. № 20.

„მთიელ-ადერბეიჯანის კომიტეტს.

„ყუბანის განმათავისუფლებელი კომიტეტი გთხოვთ მთიელ-აზერბაიჯანის 2 წარმომადგენელს, მობრძანდეთ დღეს 12 საათისათვის სასტუმრო „ბრიტანია"-ში № 2, ყუბანის განმათავისუფლებელ კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად შემდეგი საკითხების საერთოდ განსახილველად:

1) ურთიერთობა კომიტეტებ შორის—მთიელ-აზერბაიჯანის და ყუბანის განმათავისუფლებელისა, რომელნიც იურიდიულად ცნობილი არიან საქართველოს მიერ.

2) მთიელ-აზერბაიჯანის კომიტეტის დამოკიდებულება თერგისადმი, ცნება თერგი განისაზღვრება, როგორც ტერიტორია, შემდგარი 4 რაიონისაგან—ყიზლიარის, მოზდოკისა, სუჟენის და პიატიგორსკის, რომელიც დასახლებულია კაზაკების და სხვა ქალაქების რუსი-გლეხობის მიერ.

კომიტეტის თავმჯდომარე (ხელმოწერა).

მდივანი (ხელმოწერა).

ჩვენ არ ვეხებით ვრცლად იმ იმედებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ეს ამბები საკმაოდ იყო გაშუქებული ადგილობრივი პრესის ფურცლებზე. ჩვენი მიზანი სხვაა: ჯერ გამოუქვეყნებელ მასალებით ჩვენ გვინდა ნათელვყოთ ქართველ მენშევიკების ფიზიონომია, რადგანაც იგი იხატებოდა დიპლომატიურ მახინაციებში, რომლებსაც მიმართავდნენ ისინი თავის დაღუპის წინა დღეებში.

მოყვანილი მასალა გარკვევით მეტყველებს, რომ მენშევიკები, ფრანგული ანდაზის თანახმად, „იღებდენ სიკეთეს ყველგან, სადაც მას პოულობდნენ".

ბრძენი ოდისეები ცდილობენ ამ დროს აღმოსავლეთის მიმხრობას: ისინი მოლაპარაკებას მართავენ კიაზიმ-ბეისა და სხვა მის თანამემამულეებთან, სდებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად საქართველოში იწვევენ გარეშე ძალას მუშურ-გლეხურ გამოსვლებიდან დასაცავად. აი ამის შესახებ რას გვეუბნებიან მასალები:

საბუთი № 6.

„ამბები ბათომსა და ოლქში 20 თებერვლიდან 21 მარტამდე.

მოგონებანი შტაბის ყოფილ უფროსის, ხოლო შემდეგ ბათომის ციხის კომენდანტისა.

„ღამე ამა წ. 19 | 20 თებერვალს, მთავარსარდლის შტაბიდან მიღებულია შიფრიანი დეპეშა:

„ფრონტის შემოკლების მიზნით და შექმნილ მდგომარეობის გამო გამოიყვანეთ ჩვენი ჯარები არდაგანის და ართვინის ოლქებიდან და დასწიეთ ახალციხის და ბათომის ოლქისაკენ ფოცხოვის რაიონი გვრჩება ჩვენ, დაიკავეთ ჯარებით ახალი საზღვარი მოსაზღვრე ქვეყანასთან, ბორჩხა აუცილებლად უნდა დაიკავოთ, დაიძარით დაუყოვნებლივ და უნდა იყოთ ადგილზე 21 თებერვლის დილისთვის; მიიღეთ ზომები ჩვენი ჯარების შეტაკების ასაცილებლად ოსმალებთან, რომელნიც დაიკავებენ არდაგანისა და ართვინის ოლქებს".

იმ დღეებში ბათომის ოლქში დასდო დიდი თოვლი; სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი აჭარის წყალსა, ბორჩხასა და ართვინთან შეწყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიის საკითხის შემდეგ განხილულ იქნება საკითხი ანტანტის შუამავლობისა საბერძნეთ ოსმალეთის ომის სალიკვიდაციოდ.

გარდინგის განცხადება.

პარიზი. 5 დეკემბერი, პრესის წარმომადგენლებთან ბაასის დროს გარდინგმა განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობაზე ისეთი მოთხოვნილება არას დროს არ ყოფილა, როგორც დღევანდელ მომენტში. მიუხედავად ამისა შეერთებული შტატები ხალხთა ლიგაში შესვლაზე დიდ უარს აცხადებენ. რაც შეეხება განიარაღების იმედს, გარდინგმა განაცხადა, რომ იგი მოვალედ სთვლის თავის თავს გააფრთხილოს დიდ განიარაღების შეუძლებლობაზე. ინგლისს ნედლი მასალის და სურსათის შეუზიდველად არ შეუძლიან ცხოვრება, ამისათვის კი მას ახალი ბაზრების დაპყრობა ესაჭიროება. მას ძლიერი სავაჭრო სამხედრო ფლოტი ესაჭიროება. საფრანგეთი უფრო მეტ საფრთხეს განიცდის. ამერიკა მზადაა დაეხმაროს საფრანგეთს იმ შემთხვევაში, თუ გერმანია რაიმე აგრესიულ განზრახვების წარმოებას დაიწყებს, მაგრამ ამერიკის მთავრობას არა აქვს აზრად ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას. აქედან კი გამომდინარეობს, რომ საფრანგეთს ესაჭიროება ძლიერი ხმელეთის ჯარის ყოლა, დასასრულ გარდინგმა განაცხადა რომ პრესამ არ უნდა წააქეზოს რადიკალ პაციფისტების იმედები და მსოფლიო განიარაღების შესახებ.

აღმოსავლეთი და ანტანტა

ინგლისის მიზნები აღმოსავლეთში.

პარიზი. 2 დეკემბერი. „ტანი" ამჟღავნებს ფარულ სურვილებს ინგლისისას, რომელიც პროტესტს აცხადებს საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულებაზე. გაზეთის აზრით ინგლისის უთავოესი ყურადღება მიპყრობილია კავკასიის და მოსულის რაიონებისკენ, სადაც იმყოფება დიდძალი ნავთიანი ადგილები. ამ ადგილების ინგლისი ედავება ოსმალეთს. „ტანი" არკვევს რა ინგლისის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში ცხიელად შენიშნავს: „ეს პროგრამა ლოღიკურად სრულიად სწორია, თუ იგი გამომდინარეობს იმ სურვილისაგან, რომ მონოპოლია მოეხდინოს აზიის მდიდარ ნავთიან ადგილებს და არ შეუშვას იქ დასავლეთის ხალხები რომელნიც მზად არიან ოსმალეთთან მოლაპარაკების დასაწყებად. მაგრამ საფრანგეთი არ ემხრობა ამ „კარების ჩაკეტვის პოლიტიკას": იგი ცდილობს რომ ოსმალეთი ყველასათვის ღია იყოს. „ტანი" აღნიშნავს, რომ საფრანგეთის თავის უფრო ხელსაყრელია აღმოსავლეთის პოლიტიკაში დაეყრდნოს ამერიკის ორიენტაციას და ხელ-ხელა თავი დააღწიოს ანტანტის გეგემონიას.

კომუნიზმის აჩრდილი

ბერლინი, 10 დეკ. (რადიო). „ნოვი მირი"-ი სათაურით „კომუნიზმის აჩრდილი" სწერს:

„კომუნისტური აჩრდილს მთელ მსოფლიოს თავს დასჩერებია. იგი მოსკოვში კი არაა დაბადებული ან რუსეთით არ შემოიფარგლება, იგი ყველა ქვეყნებში დახეტიალებს, სჭვრეტს ყველა სასახლეებსა და საბანკირო დარბაზებს. ვინაიდან ხალხი ყველგან განიცდის შიმშილს, ხალხმა ყველგან დაკარგა რწმენა თავის ძველ ბატონების მიმართ. ხალხთა უკმაყოფილების მოსასპობად, მაშასადამე, ჯერ უნდა მოისპოს მშრომელთა მასსების შიმშილი, მაშასადამე, ჯერ უნდა დაბადოთ რწმენა ხვალინდელ დღეზე. რევოლიუციონიზმთან საბრძოლველად, რომელიც დღითი-დღე იზრდება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა: 1) სამრეწველო დეპრესიებთან საბოლოო ანგარიშის გასწორება, 2) სახელმწიფო ვალების და მათ რიცხვში სამხედრო კონტრიბუციის მოსპობა, 3) საშუალების მიცემა, რომ საბჭოთა რუსეთს შეეძლოს თავისუფალი მსოფლიო საქონლის გაცვლა აწარმოოს. მაგრამ კაპიტალისტური დიპლომატია ზედიზედ ჰქმნის ისეთ გარეგნულ დაბრკოლებებს, რომელნიც დეპრესიებს აფეთქებს. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნის თანამედროვე კრიზისი მომდინარეობს ძნელად წარმოსადგენ ახალ ეკონომიურ და ტერიტორიალურ პირობებში: ევროპის უდიდესი კოლონიალური კუთხეები პოლიტიკურად მიჯაჭვულნი არიან სულ სხვაგვარ სამეურნეო ორგანიზაციებთან, ყველა ქვეყნის ხალხი საშინლად გაღატაკდა, მუშათა უმრავლესი ნაწილი პარაზიტობს სახელმწიფო მოხელის და ჯარისკაცის სახით. უამრავი კაპიტალი ჩაყრილია სახელმწიფოს ნაკისრ ხელწერილებში და შეუძლებელია მისი დახსნა სახელმწიფოების საერთო სიკოტრის გამო. სანამდისინ კაპიტალისტური სისტემა განიცდის უზომოდ გართულებულ დეპრესიას, რომელიც მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს წარმოუდგენელ ტანჯვა წამებას აყენებს, სანამდისინ მთელი მრავალ მილიონიანი ქვეყნები—რუსეთი, გერმანია, ავსტრია, ერთი მხრივ პოლონეთიც, ჰუნგრეთი, სამხრეთ-სლავია, ოსმალეთი ბულგარეთი—განწირულ არიან მონობაზე, რომელნიც იხდიან უზარმაზარ კონტრიბუციებს—მანამდისინ ხსნა ყოვლად შეუძლებელია.

ქრონიკა

◆ **პროლეტარ მწერალთა ასოციაცია.** შაბათს, საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

◆ **შავიქვის გატანა.** „ჩემოს" საზოგადოებამ მოახერხა ახალი გემის „მარშალ"-ის დაქირავება შავიქვის გასაგზავნათ საზღვარ-გარეთ. განზრახულია გაგზავნონ 5,000 ტონა გარეცხილი და ჩვეულებრივი მადანი. გემი მოვა მახლობელ დღეებში.

◆ **ავჭალის მიწის ქარხანა.** ავჭალის მიწის ქარხნის საქმის მდგომარეობის შესახებ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: ავჭალის მიწის ქარხანა უნდა გამოეყოს ქიმიურ განყოფილებას და დაექვემდებაროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, მისი წევრის ამხ. ს. ავაკოვის სახით, ამასთანავე ერთად იქნეს ზომები მიღებული ქარხნის გამგის მოსანახავათ.

◆ **სტუდენტთა აგრონომიულ წრეში.** შაბათს 17 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორია № 15-ში პროფესორი თევზჭრელიძე წაიკითხავს თავის გამოკვლევას: „საქართველოს თავის საბანი მიწის შესახებ". დასწრება ყველას შეუძლია.

◆ **საინსტრუქტორო ინსტიტუტში.** განათლების კომისარიატის ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ცენტრალურ ინსტიტუტში პირველ დეკემბრიდან სწარმოებს რეგულიარული მეცადინეობა სკოლის ასაკამდე აღზრდის და სკოლის ინსტრუქტორთა განყოფილებებში. ნამდვილი მსმენელი ამ ჟამად ორთავე განყოფილებაზე არის 30. თავისუფალ მსმენელად ჩაეწერენ ჯერ 20, გამოწვეულია კიდევ მაზრებიდან 50 კაცი. თავისუფალ მსმენელებად მიიღებიან ადგილობრივ სკოლის ყველა მუშაკი, რომელთაც სურთ მოემზადონ სკოლის ასაკამდე დაწესებულებებში ან სამუშაოდ ან და შრომის სკოლების ინსტრუქტორად. ინსტიტუტის მსმენელთათვის იკითხება შემდეგი საგნები. სასკოლო ინსტრუქტორთა განყოფილებაში 1) პედაგოგიური ფსიხოლოგია, 2) ახალ პედაგოგიურ იდეების ისტორია, 3) სოციალურ აღზრდის მეცნიერული საფუძვლები, (ქართულ ენაზე), 4) საქართველოს ლიტერატურის ისტორია (ქართულ ენაზე), 5) საქართველოს ისტორია (ქართულად), 6) საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, 7) სტატისტიკა, 8) სამეცნიერო ბუნების მეტყველების საფუძვლები, 9) პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლება. სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებაში. 1) ზოგადი ფსიხოლოგია და ბავშვის ფსიხოლოგია, 2) პედაგოგიკა, 3) მოძღვრება შრომის სკოლის შესახებ. 4) ესტეტიური აღზრდა, 5) საბავშვო ბაღის თეორია, 6) ფრებელის სისტემა, 7) მონტესორის სისტემა, 8) მოძრავი სათამაშოები და ფიზიკური აღზრდა, 9) ბუნება საბავშვო ბაღში, 10) სასაუბრო და მოსათხრობი საათები, 11) ხელის შრომა და შრომის პროცესები. კურსის უმეტესი ნაწილი იკითხება ქართულ ენაზე. ორივე განყოფილებისათვის საერთო კურსს შეადგენს: საბჭოთა აღმშენებლობა, სოციალისტურ მოძღვრებათა ისტორია და პოლიტიკური ეკონომია. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 4-8 ნახევარ საათამდე. პრაქტიკული ვარჯიშობა და წრეების მუშაობა დილის საათებში.

შეცდომის გასწორება

ჩვენ გაზეთში მოთავსებულ ამხ. ს. ქავთარაძის მოხსენებაში „საერთაშორისო მდგომარეობა" საჭიროა შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომების გასწორება: საფრანგეთის შინაური სესხის რაოდენობა უნდა იყოს—229 მილიარდი. იმპორტი ინგლისისა იანვარში—107 მილ. გირ. სტ. „ჰეგელის და მარქსის დებულებების" მაგიერ უნდა იყოს: ენგელსის და მარქსის დებულებების...

ჩვენი სიმღერა

აღმართულ ქედით, დაკოჟრილ ხელით,
აღთქმის ქვეყნისკენ მზის სამეფოში
მივდივართ მტკიცე ნაბიჯით ნელით
დასამკვიდრებლათ მთელს მსოფლიოში...

ტანჯვით და ცრემლით, სისხლით და ოფლით,
ბრძოლის და ცეცხლის წითელი ზვირთი
ჩვენს გმირულ ქედზე ქალაქით, სოფლით
მიგვაქვს წინ, მიგვაქვს, ვით მძიმე ტვირთი.

და დავისვენებთ იქ, სადაც მხოლოთ
შრომის სუფევის ტახტს ავაშენებთ,
და მის ბჭეს კარებს ძლევის სიმბოლოთ
ფერად დროშებით სულ დავამშვენებთ.

მოვავარაყებთ მის კიდე-განსა
წითელი ფერით, წარმტაცი ფერით,
შევამკობთ იმ ჩვენს სატრფო საგანსა
შემოქმედების სიმშვენიერით!..

ჯერ გარეგნულათ არ ვართ წარმტაცნი,
გასვრილნი შრომის ჭუჭყით და მურით,
მაგრამ წინსვლაში ვართ ჩვენ ზე-კაცნი,
განმტკიცებულნი კავშირით ძმურით!..

გულით ვატარებთ დღეს ელვარებას,
ამ შორეულ მზეს ჯერ დაფარულსა,
და როს შევამკობთ მერმის ცხოვრებას,
მოვსპობთ ჩვენდამი განზრახვებს მტრულსა...

მაშინ გვიცნობენ, თუ ვინ ვართ ჩვენა,
მატარებელნი რა იმედების,
მოგვიწოდებდა რა წმინდა რწმენა
და რა სურვილი შემოქმედების!..

მაშინ, ოჰ, ვიცი, შემოგვძახებენ:
„ვაშა, დიდება, თქვენს ნათელ კვალსა!"
მაგრამ უგნურნი გაუსწორებენ
ჩვენს ელვარებას, ნეტავი, თვალსა?!.

მაგრამ რას ვამბობ? რა საჭიროა...
მათი სიბრმავე დღესაც მაღონებს,
თვალის ამხელი მათი ხომ დროა,
სვიანად აქცევს რომელიც მონებს...

მაშ, გაუმარჯოს იმ სანატრელ დროს!
მაშ, გაუმარჯოს ჩვენს წინსვლას ძლევით—
და შუქ გაბადრულს შრომის სამყაროს,
სხვა ციაგებზე სხივების ფრქვევით...

ნ. ზომლეთელი.

თეატრი და ხელოვნება

ქართულ ხელოვნების მოღვაწეთა კრება.

19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში, სერგეევის ქუჩა № 13, დანიშნულია საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა საერთო კრება. კრებაზე განხილული იქნება კავშირის რეორგანიზაციის ახალი გეგმა.

მ. ც. კ. თეატრის სეზონის გახსნა.

მ. ც. კ. თეატრის და სეზონის გახსნა მოხდება 17 დეკემბერს. გახსნის დღეს დაიდგმის ლ. ანდრეევის დრამა „საბა". თეატრი ახლად არის შეკეთებული. ყველა კლუბის და სტუდიის მათ ოჯახებისათვის სწარმოებს უფასოდ. ხოლო თეატრი დაყენებულია სამეურნეო ნიადაგზე. ამასთანავე კლუბის წევრები და წითელ ლაშქრელები სარგებლონ 50 პროც. შეღავათით. მეორეთ დაიდგმის სარევოლიუციო დრამა „ახალი გზა". წარმოდგენებს ქართულ ენაზე დადგამს მეცადინეობა კლუბის წევრთა და სახალხო სახლის დასი. თეატრში კვირაში ერთხელ გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

გრ. რობაქიძის მოხსენება.

კვირას, 11 დეკემბერს, პოეტმა გრ. რობაქიძემ წაიკითხა შინაარსიანი მოხსენება „დიონისის კულტი საქართველოში". პოეტ-მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში დიონისის

ტილია; ყოველგვარი ცდა ტელეფონით გადაგვეცა განკარგულება ართვინში მდგარ ჩვენი ნაწილებთან უშედეგო აღმოჩნდა, საჭირო შეიქმნა სასწრაფოდ გაგვეგზავნა ცხენით მე-3 ბატალიონის უფროსის თანაშემწე ამაშუკელი, რომელიც უნდა ჩასულიყო ბორჩხაში, იქიდან კი ტელეფონით გადაეცა ბრძანება ართვინში. გარდა ამისა; ციხის შტაბიდან ავტომობილით იქმნა გაგზავნილი მაიორი იმავე მიმართულებით და იმავე მიზნისთვის: მაგრამ უკანასკნელმა მხოლოდ 4 ვერსის გავლა მოახერხა ქალაქიდან: ავტომობილი ჩაიფლო ღრმა თოვლში და ალლაძე ქვეითად მივიდა აჭარის-წყლამდე; შეეცადა იქიდან გადაეცა ბრძანება ბორჩხაში ტელეფონით. მაგრამ უშედეგოთ, ვინაიდან მავთული დაზიანებული იყო აჭარის წყალსა და ბორჩხას შუაც. ამაშუკელმა გაჭირვებით მიაღწია ბორჩხამდე და იქიდან გადასცა ბრძანება, ართვინის ოლქის დროზე დაცლა ვერ მოხერხდა და მხოლოდ 23 თებერვლისათვის გადმოვიდნენ ჩვენი ნაწილები ბორჩხის რაიონში. ოსმალეთის ნაწილებთან შეტაკება და შეხვედრაც კი არ ყოფილა. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ლიბანის სასაზღვრო სადარაჯოდან სადარაჯოს უფროს ლოლაძისაგან მიღებულია ტელეფონით ცნობა, რომ სადარაჯოში გამოცხადდენ ხოზიდან ოსმალეთის სარდლის სახელით აფიცრები ოსმალეთის სარდლობის თხოვნით, რათა ნება დაგვერთო ოსმალეთის ნაწილებისათვის ხოზიდან ბორჩხით ართვინისაკენ მოძრაობისა, ე. ი. ჩვენი ტერიტორიით, იმის გამო, რომ გზები ოსმალეთისაკენ მაშინ სრულიად გაუვალი იყო. პასუხის მიცემა გვთხოვეს დღის 2 საათამდე სადარაჯოში მივიდნენ დილის 10 საათზე. ტელეფონოგრამით მოვახსენეთ გენერალ-გუბერნატორს გ. ტ. გიორგაძეს, რომელმაც თვითონ არ იკისრა ამ საკითხის გადაწყვეტა და პირდაპირი მავთულით შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც მაშინ ქუთაისში იმყოფებოდა. პასუხი მიღებულ იქნა დაახლოვებით დღის 3 საათზე; ოსმალებს ნება ეძლეოდათ გავლისა ჩეფტი-კენრიდან ბორჩხით ართვინისაკენ, არ ქონდათ უფლება ჩვენს ტერიტორიაზე შეჩერებისა. ეს გადაეცა ლიმანში ოსმალეთის სარდლობისათვის; ამაზევე შევატყობინეთ ბორჩხაში, ბორჩხის გარნიზონის უფროსს; მასვე ებრძანა დახვედროდა საზღვარზე ოსმალეთის ჯარებს და ხლებოდა ჩვენს ტერიტორიაზე. ოსმალეთის ნაწილებმა იწყეს გავლა ჩვენი საზღვრით ორი დღის შემდეგ; მიდიოდნენ ძალიან ნელა და ბორჩხაში ორი-სამი დღე ჩერდებოდნენ. ოსმალები ამას ხსნიდნენ ფრიად ცუდი გზით, ჯარების დაღლილობით და აუცილებლობით მოსწეოდათ უკან ჩამორჩენილი ბარგული; მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილზე და თვით გენერალ-გუბერნატორზე ოსმალების მოძრაობის ამ სინელემ მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, თითქო ოსმალებს განზრახვა ჰქონდათ ბორჩხაში მოეყარათ თავი და წასულიყვნენ არა ართვინისაკენ, არამედ გაელაშქრათ ბათომზე და დაეკავებინათ ის, ისარგებლებდნენ რა იმით, რომ ბათომში ჯარები ცოტა იყო. განკარგულებაც კი იყო გაცემული მოემზადებინათ ხიდის აფეთქება აჭარის წყალთან და მეორესი 4 ვერსის მანძილზე აჭარის-წყლიდან ბორჩხისაკენ. ხიდები დანაღმული იყო გაგზავნილ ტეხნიკოს-ინჟინერის მიერ. შიში უსაფუძვლო გამოდგა და მარტის პირველ რიცხვებში 3—5 ბორჩხიდან ართვინისაკენ გაიარა ოსმალების პირველმა რაზმმა დაახლოვებით 1—1 ნახ. ათასი კაცმა, ქვეითი ნაწილმა, 4 სამთო ზარბაზნით, ხოლო ბორჩხასთან იწყეს თავმოყრა შემდეგმა ნაწილებმა. დამოკიდებულება ოსმალო და ჩვენ ნაწილებ შორის ბორჩხაში ფრიად მეგობრული იყო. 4 ან 5 მარტს (დანამდვილებით არ მახსოვს) მე გამომიძახეს გენერალ-გუბერნატორ გ. ტ. გიორგაძესთან, რომელმაც გამომიცხადა, რომ ჩვენს მთავრობასა და ანგორის მთავრობის წარმომადგენელ კიაზიმბეის შორის მომხდარ შეთანხმების გამო, ქემალ-ფაშის ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათომის ოლქში და დაიჭირონ ბათომის ოლქის საზღვარი ოზურგეთსა და ახალციხის მაზრებთან, რომ თვით ქალაქი ბათომი ოსმალების მიერ არ იქნება დაკავებული; ძალა-უფლება ჩვენს ხელში რჩება; ოსმალეთის ნაწილები ბათომში არ გაჩერდებიან, მხოლოდ აქ მოიყრიან თავს, დაეწყობიან და დაიძვრებიან იქეთ საზღვრებისაკენ. იმ დღეებშივე ჩემთან შტაბში მოვიდა ოსმალეთის ჯარების შტაბის უფროსი და წინადადება მომცა ამესრულებინა შემდეგი: 1) მიმეცა ბინა 5000 ოსმალო ჯარის-კაცისათვის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, 2) ჯარის-კაცთა ამოდენივე რიცხვისათვის ბინა აჭარის-წყალში, 3) ბინა რაზმის შტაბისათვის პირობით, რომ იქვე ყოფილიყო ბინა მცველი რაზმის 100 კაცისათვის, 4) დამემზადებინა და ბორჩხაში მიგვეზიდა 200 ფუთი პური, 5) გადამეცა შტაბისათვის ორი სამგზავრო ავტომობილი. გარდა ამისა, მთხოვეს მეპასუხნა კითხვაზე—რა ვადაში შემეძლო მე ოსმალეთის სარდლობისათვის ციხის გადაცემა და ოლქიდან ქართველი ჯარების გაყვანა. ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხი არ გამიცია, ვინაიდან არ მქონდა არავითარი ინსტრუქციები არამც თუ ამესრულებინა მოთხოვნა, არამედ ლაპარაკიც კი დამეწყო ამის გამო. ხოლო ბინის, პურის, ავტომობილის და სხვათა მიცემის შესახებ მე მქონდა ინსტრუქცია, ვყოფილიყავი ოსმალების მიმართ თავაზიანი და შეძლებისა დაგვარად ამესრულებინა ყველა მათი მოთხოვნანი, და ვცდილობდი გამეკეთებინა ყველაფერი, რაც იყო ჩემს უფლებაში და შესაძლებლობის ფარგლებში. 5000 კაცისათვის მოკლე დროში ბინის მიცემა შეუძლებელი იყო. საინჟინერო სამმართველომ ვერ შესძლო მოენახა შესაფერი შენობა და მოგვიხდა მიგვეცა ოსმალო ჯარებისათვის ერთ ერთი კორპუსი ბორჩხის ყაზარმებისა, რომლებიც ეკავა ბათომის სახალხო გვარდიას; იქ შეიძლებოდა მოთავსებულიყო არა უმეტეს 500 კაცისა; პურს ვაცხობდით ჩვენს ფურნეში და ვზავნიდით ურმებით და საბარგო ავტომობილებით აჭარის-წყალსა და ბორჩხაში. ბინას ოსმალო ჯარების შტაბისათვის მოვნახავდით, ოსმალებს ისინი არ აკმაყოფილებდნენ, ან სივიწროვის ანდა კარგად მოუწყობლობის გამო; ისინი მოითხოვდნენ, რათა შტაბისათვის მიგვეცა ბინა, სადაც მოთავსებული იყო და ეხლაც მოთავსებულია ციხის საინჟინერო მმართველობა. საერთოდ მოთხოვნები და ქირვეულობა ოსმალეთის სარდლობისა იმ თავითვე იძულებულს მყოფდნენ მათთვის ეჭვის თვალით შემეხედნა. ოსმალები აგრეთვე რაღაცა აგვიანებდნენ ოლქში შემოსვლას; ოსმალ-ჯარების პირველი ეშელონი ორ გუნდამდე ტყვის ფრქვეველებით (სულ 500 კაცამდე) მოვიდა 11 საათზე—11 მარტს; ოსმალეთის რაზმის შემოსვლას ბათომში ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა: ხალხის დიდი ბრბო მიყვებოდა რაზმს „ვაშას" ძახილით და ბაირაღებით.

იმავე დღეს შემოვიდა საჩივრები სახალხო გვარდიიდან ოსმალების თვითნებობაზე, და, შეტაკებების ასაცილებლად, გარდა მიმართვისა ოსმალეთის სარდლობის შტაბისადმი, იძულებული ვიყავით 12 მარტს სახალხო გვარდია გამოგვეყვანა ბორჩხის ყაზარმებიდან აზიზიეს მოედანზე, ხოლო ბორჩხის ყაზარმები მთლიანად გადაგვეცა ოსმალებისათვის.

ოსმალო ჯარების ბათომის ოლქში შემოსვლის საკითხის გადაწყვეტის დროიდან მათი ფაქტიურ შემოსვლამდე—4—5 დღის,—დაწესებულებებში აგრეთვე ღელავდნენ, შიშობდნენ, რომ ოსმალები ხელშეკრულობას არ შეასრულებდნენ და თავისი ჯარებით ოლქს არ დაიკავებდნენ, ასეთ შიშს გამოსთქვამდა აგრეთვე გენერალ-გუბერნატორი გ. გიორგაძეც, აჭარის წყალში 10 მარტს მოვიდა ბორჩხიდან ოსმალეთის რაზმი აგრეთვე ორ გუნდამდე ტყვისმფრქვეველებით; მცირე რაზმები გაგზავნეს ხულოსა და ქედაში.—ოსმალეთის ჯარების შემდეგი ეშელონი ბატალიონის უფროსით (ბინ-ბაში) შემოვიდა ბათომში 12 მარტს საღამოთი; და მესამე აგრეთვე 500 კაცამდე—ღამით 15—16 მარტს; მოელოდნენ შემდგომი ეშელონების მოსვლას, მაგრამ არ მოსულან წითელი ჯარების მიერ ბათომის დაკავებამდე; სულ ბათომსა და ოლქში ოსმალეთის ჯარები იყო სამი ათას ნახევრამდე, მათგან ჩოლოქის რაიონში და საზღვარზე ოზურგეთის მაზრასთან 200 კაცამდე, აჭარისწყალში 500 კაცამდე; ბათომში 2000 კაცამდე; დანარჩენები გზაზე ლიმანსა და ბათომს შორის ამ გზით მოდიოდნენ ყველა ეშელონები ხოზიდან ბათომისაკენ. ამ ხნის განმავლობაში ოსმალეთის სარდლობა არ ერეოდა შინაური მმართველობის საქმეებში; ვაყენებდით თავის პატრულებს, რომელნიც ოსმალო ჯარისკაცებს თვალყურს ადევნებდნენ ამავე დროს ჩამოვიდა ქუთაისიდან კიაზიმ-ბეი. უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ჯარების შემოსვლამდე მოუსვენარი განწყობილება სუფევდა, კიაზიმ-ბეის და ოსმალეთის სარდლობის ქცევა, მათი ფარული დამოკიდებულებანი აჭარლების წარმომადგენლებთან, მუდმივი ყოფნა კიაზიმ-ბეისთან მთიელთა მთავრობის წარმომადგენლის ჰაიდარ ბამატოვისა და ახმედ ცალიკოვისა საბუთს იძლეოდა გვეფიქრა, რომ ოსმალები რაღაცას თავის ემზადებოდნენ; ეჭვი გაძლიერდა მით, რომ აჭარისწყალთან მდგომი ოსმალეთის რაზმი არ ატარებდა ჩვენს მზვერავებს გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით; ოსმალეთის სარდლობა იძლეოდა ცნობებს, რომ ახალციხის მხრით წითელი ჯარები არ არისო; ხოლო უწინ ხულოდან მიღებულ ცნობებით, გოდერძის უღელტეხილით ახალციხის მხრიდან მოდიოდნენ წითელი ჯარები, პოლკის №-ც კი იყო ნახსენები 105—15 და 16 მარტს ყველა ჯარები სრულიად მზად იყვნენ; ღამით ვგზავნიდით გაძლიერებულ პატრულებს და ვნიშნავდით სამორიგეო ნაწილებს. გარკვეულად ლაპარაკობდნენ, რომ ოსმალებს განზრახვა ჰქონდათ მოახდინონ ღამით ქართველი ჯარების განიარაღება და აჭარლების შეიარაღება; ამისათვის მზად ვიყავით ყოველღამე 16 მარტს ღამე შევიტყვეთ, რომ 17 მარტს ოსმალებს განზრახული ჰქონდათ ყველა ფორტების და სიმაგრეთა დაკავება და 18-ს ღამით ჯარების განიარაღება და მთელი ქალაქის დაკავება; ღამითვე 16 17 მარტს ჩვენს ნაწილებს მიეცა ბრძანება დაეკავებინათ ფორტები № 1, № 2 (კახაბერი № 4 (მცირე სამება) და ბლოკჰაუზები: კვეცერული, ტორარტი, სამება და ახაოია. დილიდან ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს კახაბერი სამთო ბატარეით და 300 კაცი. მოსაზღვრეებმა ფორტი № 1 (ამოდიე)—მხოლოდ ფორტის ნახევარი, ბლოკჰაუზი—სამება და ახაოია; ფორტი № 4, ფორტი № 1—ის ნახევარი; ბლოკჰაუზების—ტორარტის და კვეცერულის—დაკავება ჩვენებმა ვერ მოასწრეს, ვინაიდან ისინი აღმოჩნდნენ დაკავებულნი ოსმალების მიერ წინადღით; 17 მარტს დღის 12 საათიდან მოგვდის ცნობები, რომ ოსმალები ბორჩხის ყაზარმებიდან მიდიან სხვა და სხვა მიმართულებებით, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებულ ფორტებიდან ვღებულობთ მოხსენებებს, რომ ოსმალეთის ჯარები მოითხოვენ ფორტების დაცლას და მათ შეშვებას; შეიარაღებული შეტაკების ასაცილებლად მე მთელი დღე რამდენიმეჯერ მომიხდა მისვლა კიაზიმბეისთანაც, ოსმალეთის სარდლობასთან, ჩვენი მთავარ-სარდალ კვინიტაძესთან და მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანიასთან; ვიყავი ფორტებზე ოსმალეთის სარდლობიდან დელეგატთან ერთად, საქმის მოსაგვარებლად. ოსმალები დაჟინებით თხოულობდნენ მათ შეშვებას ფორტებში და მოთავსებას ჩვენ ნაწილებთან ერთად, ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ჩვენ ძმები ვართ, ვაკეთებთ საერთო საქმესო. არასგზით არ თანხმდებოდნენ უკან დაეწიათ ნაწილები, თუნდაც ნახევარი ვერსით, რათა მოთავსებულიყვნენ სადგომებში, ამასთან ერთად არ უშვებდნენ ჩვენს გუნდებს, რომლებსაც ვერ მოესწროთ თავისი ადგილების დაკავება, არ უშვებდნენ ჩვენებს ფორტში № 4, და გარშემოერტყნენ ბლოკჰაუზს სამებას, სადაც უკვე იყო ჩვენი გუნდი.

მე ცხადად ვხედავდი რაღაც მზაკვრობას, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობდი ამეცილებინა შეტაკება. თავის ნაწილებს უბრძანე ყოველი ზომით აეცილებინათ დამოკიდებულების გამწვავება; ოსმალები არ შეეშვათ ჩვენ მიერ დაკავებულ ადგილებში და მათი სამტრო მოქმედებებზე ეპასუხნათ ძალით. საღამოთი 17-ს და ღამე ფორტებზე შეტაკებებს ნამდვილად ადგილი არ ჰქონია. შეტაკებები დაიწყო მხოლოდ 18 მარტს დილიდან.

17 მარტს საღამოს 10 საათზე ოსმალებმა დაიკავეს რაზმით 40 კაცის შემადგენლობით ფოსტის სამმართველო, ტელეგრაფი და ტელეფონი; ნახევარი საათის შემდეგ ქალაქის მილიციის სამმართველო და მილიციის საუბნო სამმართველო. ქალაქში გამოჩნდნენ ძლიერი ოსმალო პატრულები. საღამოზე 17 მარტს ბათომში შესდგა დროებითი რევკომი, რომელიც საღამოს 9 საათისათვის გადავიდა ციხის შტაბის შენობაში და ჩემთან ერთად ხელმძღვანელობდა ქალაქის დაცვას ოსმალების დაკავებისაგან. თავი მოუყარეთ ყველა არსებულ ჯარებს ციხის შტაბთან. მთელ ქალაქში პატრულები და ცხენოსანი რაზმი დავგზავნეთ, რათა ხელი შეგვეშალა ოსმალების მიერ დაწესებულებათა დაკავებისათვის. საღამოდან დაიწყო მაღაზიების დარბევა ქუთაისის, სანაპიროს და პეტროგრადის ქუჩებში—ჩვენი პატრულები და ცხენოსნები ფანტავდნენ და ხვრეტდნენ მძარცველებს; მრავალი ნაძარცვი წართმეულ იქნა. სწორედ ღამის 12 საათზე მივიღეთ კიაზიმ—ბეის ბრძანება, რომლითაც იგი აცხადებდა ბათომის ოლქს ოსმალეთისადმი შეერთებულად და თავის თავს გენერალ—გუბერნატორად. ჩვენს ჯარებს წინადადება ეძლეოდა ან დაეტოვებინათ ოლქის საზღვრები 24 საათის განმავლობაში ან ჩაებარებინათ იარაღი. ამ ბრძანებაზე ჩვენ არავითარ პასუხს არ ვაძლევდით. მთელი ღამე ჯარები მზად იყვნენ; ჩვენი და ოსმალების პატრულები და ცხენოსნები შეხვედრის დროს სროლას სტეხდნენ, ბოლოს ოსმალეთის პატრულები მიიმალნენ. ოსმალების მხრით იყო ცდა ციხის შტაბის და შენობის დაკავებისა; მაგრამ რადგან ჩვენ მიერ მაგრად იყო დაკავებული—თავი გაანებეს. დილიდან დაიწყო ბრძოლები ფორტებზე; ოსმალებმა ალიონზე დაიკავეს რადიო—ტელეგრაფი და ემზადებოდნენ საინჟინერო გუნდის შენობის დასაკავებლად, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს. კახაბერში განთიადზე ოსმალები მოულოდნელად შეიჭრნენ და გაანიარაღეს ჩვენი ჯარის-კაცების ნაწილი, მაგრამ გამოდევნილი იქნენ და შემდეგ სრულიად უკუქცეულნი კახაბერიდან. 12 საათისათვის ჩამოვიდა პირველი ეშელონი რუსეთის წითელი არმიის 192 პოლკისა, ხოლო საღამოსათვის ჟლობის ბრიგადის პოლკები. ფორტებზე კიდევ 18, 19 და 20—საც სროლა სწარმოებდა, მაგრამ ღამე 21-სათვის ოსმალეთის მთელი ჯარები დატყვევებულ იქნენ და განიარაღებულნი.—ციხე ბათომის ყოფილი კომენდანტი და ამჟამად ოლქის სამხედრო კომისარიატის სამხედრო—ხელმძღვანელი გ. ფურცელაძე.

ი. შაფირი.

(დასასრული იქნება)

კულტი გადაიქცა წმინდა გიორგის კულტათ, რომლის თაყვანისცემა საქართველოს ხალხში უწმინდესია და დაკავშირებულია დიდ რელიგიოზურ წესებთან. მოხსენებამ გამოიწვია დიდი ინტერესი.

ქიმერიონში.

ახალი მწერლობის კავშირის ინიციატივით მწერალთა და პოეტების კაფე „ქიმერიონში" გაიმართება სისტემატიურად ლიტერატურული, ესტეტიური საღამოები.

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის შემოსავალი.

საქართველოს ს. ს. რ. ვოლგის მხრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს 16 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე შემოუვიდა შემოწირულება ფულად 1,495,750,605 მანეთი.

1 დეკემბრიდან 7-დე შემოვიდა 474,968,152 მან. 96 კ., 8 დეკემბერს შემოვიდა 160,800 მან.

ამნაირად შემოწირული ფულის საერთო ჯამი 8 დეკემბრამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით შეადგენს—1,900,879,557 მან. 96 კ.

ამ ჯამში შედის ამიერ-კავკასიის რკინის გზებისგან მიღებული ბაგაჟის ქირის 10 პროც. და სამგზავრო ბილეთებისა 407 მილიონი მანეთი.

1 დეკემბრისთვის ცალკე ორგანიზაციებისგან შემოვიდა შემდეგი ჯამი: კავკასიის ცალკე ლაშქრისაგან — 116,969,079 მან., საქართველოს წითელ ლაშქრისაგან—23.670,776 მან., პროფკავშირებისაგან — 149,407,899 მანეთი.

სრულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

სოც. კულტურის მუშ. კავშირი და განათლების სახალხო კომისარიატი.

ამხ. მიქაძე ლაპარაკობს სოციალისტურ კულტურის მუშაკთა განათლების სახალხო კომისარიატს შორის დამოკიდებულების შესახებ.

სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირი სრულიად თავისებური კავშირია. იგი არ იძლევა მატერიალურ ღირებულებას, მაგრამ არ არის ამავე დროს მხოლოდ სამსახურის გამწევი. მისი სოციალური შემადგენლობა ჭრელია. მისი მიზანია ამ კავშირის პოლიტიკურ ფორმაში ჩამოყალიბება. თვით კავშირის შემადგენლობა ხელს უშლის ამ ფორმის ჩამოყალიბებას. წამოჭრილია აგრეთვე საორგანიზაციო მიზნებიც. საქართველოს ყველა კავშირებმა შესძლეს ცეხური მდგომარეობიდან გადასულიყვენ წარმოებითზე. სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირმა კი დაიგვიანა. კავშირში საჭიროა მივიზიდოთ პროფესიურა, კვალიფიციური მუშაკები.

ჩვენ უნდა დავამყაროთ კონტაქტი კავშირსა და განათლების კომისარიატს შორის, შევაერთოთ იგინი და ამით გავაძლიეროთ კავშირის გავლენა ფართო მასსებზე და განათლების კომისარიატზე. უნდა განისაზღვროს კავშირის ფუნქციები. კავშირი უნდა მონაწილეობდეს სახალხო განათლების გეგმის გამომუშავებაში განათლების კომისარიატთან ერთად. კავშირი უნდა ეცადოს მიიღოს მონაწილეობა განათლების კომისარიატის კოლეგიაში, ადგილობრივად სახალხო განათლების კოლეგიაში. განათლების კომისარიატი ამრიგად თავიდან მოიცილებს ბიუროკრატიზმს, იქნება შეთანხმება კავშირის და განათლების კომისარიატის შეხედულებათა. სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირის როლი არის ემსახუროს და განათლება შეიტანოს მუშათა პროფკავშირების ფართო მასსებში. კავშირში არის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება, რომლის მიზანიც არის შინაური კულტურული სამსახური. ყველაზე მთავარი ჩვენი განყოფილება არის სატარიფო. საქართველოში კავშირების მუშაობის ცხრა მეათედი მდგომარეობდა ერთიან სატარიფო სისტემის დამყარებაში. ამ ჟამად ჩვენ სატარიფო განყოფილებისა და განათლების კომისარიატის წინაშე სდგას ამოცანა ტარიფის საკითხის გადაწყვეტისა. განათლების მუშაკთათვის გადადებულია 5:000 ულუფა. ამ ჟამად სწარმოებს შტატების შემცირება, მაგრამ იგი არ უნდა შეეხოს ჩვენს სკოლებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ჩვენ შევამოკლებთ მხოლოდ მოსამსახურეთა აპარატს. მაგრამ ჩვენ არამც თუ 5 ათას, არამედ გაცილებით მეტი განათლების მუშაკი გვყავს. განათლების ყველა მუშაკთა უზრუნველსაყოფად უნდა მოეწყოს ადგილობრივი საფონდო კომიტეტები საშუალებათა ადგილებზე მისაღებათ. ეს უნდა დაეკისროს თვით კავშირებს და ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოებს. ადგილობრივ მუშაობის გარდა პროფკავშირის წინაშე სდგას საერთაშორისო საკითხები. ჩვენ მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ საერთაშორისო პროფმოძრაობაში. საერთოდ ჩვენი აპარატი ჯერ საბოლოოდ არ არის დალაგებული: ადგილებთან კავშირი სუსტია. ჩვენი ინსტრუქტორები არ მუშაობდნენ საკმაოდ. მთლიან აპარატისათვის კავშირმა გადასწყვიტა ყოველ მაზრაში ექნეს თავის განყოფილება, რომელიც შემოიკრებავს რაიონის და განათლების მუშაკთა ადგილობრივ კომიტეტებს. ჩვენი კავშირი, ყოველ შემთხვევაში წარმოებითია, და არა მოხელეების კავშირი. იმისთვის, რომ დაუახლოვდეთ პროლეტარიატს უნდა შევითვისოთ მისი იდეოლოგია. ჩვენ გვსურს და უნდა გავატაროთ საერთო პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა.

ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ცენტრალური ინსტიტუტი.

(ამხ. ბუნინის მოხსენება)

განათლების კომისარიატის ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ცენტრალურმა ინსტიტუტმა გამოუშვა ორ თვე ნახევარში 100 ინსტრუქტორი. მისი მოქმედების შეჩერების შემდეგ ისევ უნდა დაეწყო მუშაობა 7 ნოემბრიდან. უნდა ყოფილიყო ორი განყოფილება: 1) სასკოლო ასაკამდე; 2) სკოლაში აღზრდისა. განზრახული იყო 80 ადგილიდან 20 ადგილი მიეცათ თეატრისა და ბიბლიოთეკის საქმის ინსტრუქტორებისათვის. მაგრამ შემდეგ მუსულმან მასწავლებელთა მომზადებისათვის ეს 20 ადგილი დაეთმოთ მუსულმანებს. ახლა ძლიერ ცოტა კურსანტები გამოცხადნენ. პირველ განყოფილებაში, 36-დან—17. ბევრმა მაზრებმა სრულებით არ გამოგზავნეს კომუნისტები. სასკოლო განყოფილებაზე 34-დან გამოცხადდა 10 კურსანტი. მთელი თვე დაიკარგა უნაყოფოდ. დავაპირეთ ეპიზოდიურ ლექციების წარმოება, მაგრამ შემდეგ გადავედით ცოტათ თუ ბევრად სისტემატიურ ლექციებზე. სასურველია, რომ კურსანტები ადგილებიდან აქვეყნებენ ჩამოვიდოდნენ დროზე. პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა ყრილობის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციას. ამის შემდეგ ყრილობა ისმენს და კენჭს უყრის რეზოლიუციებს აკადემიურ ცენტრის მოხსენების გამო.

ამხ. კანდელაკის საბოლოვო სიტყვა.

ამხანაგებო! სანამ დავხურავდეთ ამ ყრილობას, მე ჩემ თავს ნებას ვაძლევ გითხრათ რამოდენიმე სიტყვა ჩვენ მომავალ მუშაობის შესახებ.

როდესაც შეიკრიბება განათლების მუშაკთა მე-3 ყრილობა, იგი შეუდგება იმ საკითხების გარჩევას, რომლებიც ვერ გადაწყდა საბოლოვოდ ამ ყრილობაზე, ჩვენი მე-3 ყრილობა უნდა ატარებდეს ნამდვილ საანგარიშო ხასიათს და იმ დროისთვის ჩვენ იმდენად უნდა წავიწიოთ წინ საორგანიზაციო მუშაობაში, რომ ნათლად უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება სახალხო განათლების სხვა და სხვა ორგანოებთან და მკვეთრად უნდა გავსაზღვროთ მათი ფუნქციები მე, როგორც განათლების კომისარი, განათლების კომისარიატის მთელი კოლეგიის სახელით ვლაპარაკობ მხოლოთ ყველა ჩვენ ძირითად მიზნების და განზრახვების განხორციელებით, მხოლოდ ძალთა და საშუალებათა სწორი აღრიცხვით, ცენტრისა და ადგილების წესიერად მუშაობით, რომლებიც დაკავშირებულია განუწყვეტელ საინფორმაციო კონტაქტით—ჩვენ შევსძლებთ წარჩინებით განვახორციელოთ საქართველოს კომუნისტურ განათლების საქმე. მთელი ჩვენი ნაკლულევანება მუშაობაში იყო მასალის უქონლობა. აი ჩვენ ეხლა მივაღწიეთ გარკვეულ შედეგებს. რევკომმა დაადგინა, რომ 6 მილიარდი იქმნას გადადებული მასწავლებელთა პერსონალის მომარაგების ფონდისათვის. ამ რიგათ თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ მასწავლებლებს ადგილებზე, რომ ისინი უზრუნველ ყოფილი არიან ჯამაგირის მიღების მხრივ. რევკომმა გადასდო განათლების მუშაკთათვის 6000 ულუფა, აქედგან მასწავლებელთა პერსონალზე მოხმარება, სულ ცოტა რომ ვსთქვა 5000 ულუფა.

მე უკვე აღვნიშნე ამ ყრილობაზე ჩვენ მასწავლებელთა გმირობა. ისინი ყოვლად აუტანელ პირობებში არიან, მატერიალურ საშუალებათა და სახელმძღვანელოებს მოკლებულნი აწარმოებდნენ მუშაობას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია მათმა ღონემ აღარ იმაროს და ჩვენ თვალი უნდა ვადევნოთ, რომ არ მოხდეს ჩვენი მუშაობის გაწყვეტა, რომ არ ექნეს ადგილი სამსახურიდან გაქცევას უკანასკნელ დროში ადგილებიდან მოდიოდნენ ჩემთან დელეგაციები თხოვნით, რომლებიც არ შეიძლებოდა დაგვეკმაყოფილებია. ეს საშიში სიმპტომია, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ დელეგაციის ეს მოწოლანი აღარ იყვეს არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდოდეს მათ მოთხოვნილებათა მოსმენა (ჩვენ ყოველთვის მოუსმენთ მათ), არამედ იმიტომ, რომ, თვით ეს მოვლენა თავის თავად სასურველი არ არის.

უნდა მიექცეს ყურადღება იმ კონტრრევოლიუციონურ ელემენტს, რომელიც, მიუხედავად შტატების შემცირებისა, კიდევ მრავლად მოიპოვება ჩვენ დაწესებულებაში, განსაკუთრებით ადგილობრივში. აი რაც მინდოდა მომეგონებინა თქვენთვის ყრილობის დახურვის წინ.

კიდევ გესალმებით განათლების სახალხო კომისარიატის სახელით, ამ ყრილობაზე შეკრებილთ, ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვ'თქვა იმედი, რომ ეხლა ჩვენ უფრო მჭიდრო კონტაქტით და დიდის წარჩინებით, ვინემ აქამდის, წავმართავთ ჩვენ მუშაობას საქართველოში კომუნისტურ განათლების ჩასანერგათ.

საქართველოს სახალხო და პოლიტიკურ განათლების მე-2 ყრილობას ვაცხადებ დახურულად.

პარტიული ცხოვრება

ქ. დუშეთი

1921 წ. 1 დეკემბერს მოხდა საერთო კრება ქ. დუშეთის პარტიული ორგანიზაციისა. დღიურ წესრიგში იდგა საკითხი: მიმდინარე მომენტი, დამშეულთა შესახებ და მათ გადმოსახლებაზე. კრებამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე ამხ. კარჩაულისა და დამშეულთა შესახებ ამხ. ბედუკიძისა, მიმდინარე მომენტზე გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია: ჩვენ ქ. დუშეთის ორგანიზაციის საერთო კრებამ მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, სიხარულით ვეგებებით საბჭოთა მთავრობის ახალ ეკონომიურ კურსს და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად გაერთიანებას, რომელიც ერთათ ერთი გზა საბჭოთა მთავრობის და პროლეტარიატის განმტკიცებისათვის. მიგვაჩნია რა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ერთათ ერთ ჭეშმარიტ გზათ არაფერს დავიშურებთ, რათა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია შეურყევლად იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

დამშეულთა შესახებ კრებამ დაადგინა, დაევალოს დამხმარე კომიტეტს, რათა მან რაც შეიძლება ჩქარა მოაწესრიგოს დამშეულთათვის დახმარება და მიიღოს ყოველი ზომები დახმარების გასადიდებლათ.

კრების თავმჯდომარე **ბედუკიძე.**

—

ხარაგოულის რაიონი

4 დეკემბერს ამა წლის დღით კვირას მოწვეულ იქმნა ხარაგოულის რაიონის კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება, სადაც შემთხვევით დავესწარი და მივიღე მონაწილეობა. ამ კრებაზე იყო ბევრი საერთო მნიშვნელობის საკითხები დასმული და გადაჭრილი მიზანშეწონილათ. ყველაზე უფრო გამომაფხიზლებელი და მეტად საყურადღებო იყო, „მოხსენებები ადგილებიდან სადაც თვითეული მომხსენებელი აღნიშნავდა კომიაჩეიკის მდგომარეობას და მუშაობას; მიუხედავათ იმისა, რომ მთელს ხარაგოულის რაიონში იაჩეიკები შემდგარი არიან უმეტეს ნაწილად პოლიტიკურად ჩამორჩენილ გლეხებისაგან, და არ ყოლიათ მათ შესაფერი ხელმძღვანელები ამა თუ იმ საკითხების აღმოსაწურავათ და სხვა, მიუხედავათ ასეთი დაბრკოლებისა, როგორც სჩანდა მათი მოხსენებებიდან მუშაობა თითქმის ყველა იაჩეიკებში საუცხოვოთ მიმდინარეობს. საჭიროა მუშაობის უფრო გაფართოება ზემო აღნიშნულ კომიაჩეიკებში. რომლის რიგებიც როგორც ზევით ავღნიშნე შესდგება პოლიტიკურათ ჩამორჩენილ გლეხებით, საჭიროა სწარმოებდეს მათთან სისტემატიური მეცადინობა როგორც კომუნიზმის ანბანიდან აგრეთვე სხვა ბროშიურებიდან, იგზავნებოდეს რაიონის პარტკომის შემადგენლობიდან ამხანაგები აღნიშნულ იაჩეიკის წევრთა გასათვითცნობიერებლათ. უწევდენ ყოველივე დახმარებას, ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევათ და სხვა და სხვა რაც საშუალებას მისცემს ჩამორჩენილ და მოუმზადებელ კომიაჩეიკათა წევრების ამხანაგების ასე თუ ისე მომზადებას, მათი აზროვნების დამუშავებას და მსოფლ-მხედველობის გაშლას, გაფართოებას და ნამდვილ წარმოდგენას კომპარტიის პროგრამაზე თუ რა სურს კომ. პარტიას ამხ მუშებისათვის და ამხანაგ გლეხებისთვის. და აი სწორეთ ასეთი ინტენსიობით დაუღალავი და შეუდრეკელი მუშაობით მათ რიგებს შორის, შეგვეძლება მოვსპოთ ის ცრუ შეხედულობები, რომელიც შეიძლება მათში ჯერ კიდევ არსებობს.

წინწკილას პირელი.

—

მარტვილის რაიონი. (სენაკის მაზრა).

1921 წ. 30 ნოემბერს შესდგა მარტვილის რაიონის კომუჯრედების და თემკომების მდივნების თათბირი, თათბირის თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ისაკი გახოკიძე, მდივნათ ამხ. ერაკი ჭოლოკავა, დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე.
2. პარტიული მუშაობა და დისციპლინა.
3. მომავალი პარტიული მუშაობის გეგმა.
4. კორესპონდენციის საქმის მოწესრიგება.
5. ხვნა-თესვის კომპანიის ჩატარება.
6. მოხსენებები ადგილებიდან.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს რაიპარტკომის მდივანი ამხ. იაკობ მონიავა, რომელიც ახასიათებს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, საერთაშორისო და შინაურ ვითარებას.

პარტიულ მუშაობის და დისციპლინის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხ. მონიავა, რომელიც აღნიშნავს პარტიულ მუშაობის სისუსტეს, რაც გამოწვეულია პარტიის დისციპლინის შეუსრულებლობით. მომხსენებელი უთითებს ამხანაგებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიის დისციპლინის დაცვას. მომავალი პარტიულ მუშაობის გეგმა გააცნო თათბირს ამხ. მონიავამ; გეგმა ერთხმად იქმნა მიღებული.

კორესპონდენციის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე მონიავა, რომელიც აღნიშნავს, რომ დღემდის როგორც უჯრედებიდან, ისე თემკომებიდანაც წერილები მუშაობის შესახებ გაზეთებში არ იგზავნებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ რაიპარტკომის მიერ არა ერთხელ ყოფილა მიცემული სათანადო წინადადება თემკომების და უჯრედების მდივნებისათვის. მომავალში საჭიროა აუცილებლად წერილების სისტემატიურად გზავნა გაზეთებში დასაბეჭდათ.

თესვის და ხვნის კომპანიების ღირსეული ჩატარება დაევალა თემკომის და უჯრედების მდივნებს.

ადგილებიდან მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა ყველგან სისტემატიურად სწარმოებს, მხოლოთ გამონაკლისია 4 კომუჯრედი, დანარჩენი 21-ის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ი. მ.

წარმოებითი პროფკავშირებში

მეტყავეთა კავშირი.

საბჭოთა პირველი ფეხსაცმლის დამკერებელი სახელოსნო, კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, გადაეცემა მუშათა მთლიან კოოპერატივს. მუშები, რომლებიც კერავენ მზა ფეხსაცმელს, გადაჰყავთ სახელმწიფო ქარხანაში № 1 (ყოფილი ადელხანოვისა), სადაც არსდება სამოქალაქო ფეხსაცმელის ფაბრიკა. რადგან ტყავეულის განყოფილება უკვე გადავიდა სამეურნეო საფუძველზე, რის გამო ტყავის მრეწველობის მუშებს მოუსპეს სახელმწიფო მომარაგება, დაადგინეს მიმართონ ს. პ. კ. ს. შრომის მომწესრიგებელ განყოფილებას თხოვნით, დააჩქარონ კავშირის მიერ შემუშავებულ შრომის ხელფასის ნორმების დამტკიცება.

ელექტრიკოსები.

ელექტრიკოსების საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია ადგილობრივი კონფერენციის მიერ წარმოდგენილ სიის თანახმათ, ადგილკომში შედიან: ამხ. თონდოევი, აფანასიევი, გრიაზნოვი, სერგეევი და ვიკოვიანი. აირჩიეს აგრეთვე კომისიები შემფასებელი, შრომის დამცველი და კულტ-განმანათლებელი.

საზოგადო კრებამ დაადგინა, მიიღოს „ინვენტარი", რომელიც ეკუთვნის მელითონეთა კავშირის ელექტრიკოსების სექციას და გადაიტანოს იგი ელექტრიკოსების სექციის ადგილკომის ბინაზე.

ს. პ. კ. ს. შრომის მომწესრიგებელ კოლეგიაში.

მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მიერ დამზადებულ კარტოფილის განაწილების შესახებ, შრომის მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა, უკვე მოტანილი ტფილისში 2,500 ფუთი კარტოფილი გაანაწილოს თავდაპირველად შემდეგი კავშირების მუშებსა და მოსამსახურეებს შორის: სახალხო კავშირს, საფეიქრო სამრეწველო მრეწველობას, მკვებავ ქიმიკოსებს და მეტყავეებს, უცოლშვილო მუშაკს უნდა მიეცეს 15 გირვანქა თითოს და ცოლშვილიანს 20 გირ.

ბორჯომში დამზადებულ 2500 თ. კარტოფილიდან დადგენილია 500 ფ. გაეგზავნოს ტყიბულის მაღაროების მუშებს. დანარჩენი კარტოფილი განაწილდეს საჭიროების დაკვალათ, ს. პ. კ. ს. შრომის გამნაწილებელ კოლეგიის განკარგულების თანახმათ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 111.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—საგანგებო საფილტრაციო სამეულის დაარსების შესახებ.

ქ. ტფილისის მცხოვრებთა რიცხვის ზრდამ, რომელმაც მწვავედ და მკაცრად წამოშვა საკითხი ბინების და სურსათის კრიზისისა და ხელი შეუწყო ყოველგვარი ეპიდემიის გავრცელებას, გამოიწვია უკვე მიღებული მთელი რიგი იმ ღონისძიებისა, რომელიც მიმართულია ამა კრიზისის შესამსუბუქებლად და საერთოდ ქ. ტფილისის განსატვირთავად. რათა მიღებულმა ღონისძიებამ მიზანს მიაღწიოს და თავიდან აცილებულ იქნეს ამ ბოლო ხნის უშველებელი ზრდა მცხოვრებთა რაოდენობისა ქ. ტფილისში შემთხვევითი ელემენტების გამო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსდეს საგანგებო საფილტრაციო სამეული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა, ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების გამგისა ან მისი თანაშემწის ღ მუშათა ღ გლეხთა ინსპექციი სწარმომადგენლისაგან. სამეულს დაევალება რეგისტრაცია იმ პირთა, ვინც მოისურვებს ტფილისში ცხოვრებას და მინიჭება ტფილისში ცხოვრების უფლებისა მსურველთათვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

სამეულის უდასტუროდ საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ ორგანოს ნება არა აქვს ქალაქში შემოხიზნულთა დაკმაყოფილებისა ბინით, სურსათით და სხვ..

შენიშვნა: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი შედის საგანგებო საფილტრაციო სამეულში თავმჯდომარის უფლებით.

2. ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის საბინაო ქვე-განყოფილებას და ყოველგვარ საბინაო სხვა ორგანოს სასტიკად აეკრძალება, უფროსის პირადი პასუხისმგებლობით მთხოვნელთათვის ბინების მიცემა, თვითნიერ საგანგებო საფილტრაციო სამეულის წინასწარი ნებართვის და განხილვისა.

3. საბჭოთა სასურსათო ორგანოებს ქ. ტფილისში ახლად ჩამოსულ პირთა სურსათით დაკმაყოფილება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ ექნებათ სათანადო დასტური საგანგებო საფილტრაციო სამეულისა.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო კომისარიატებს დაევალებათ ტფილისში ჩამოსულ პირთა სახლის დავთრებში ჩაწერის დროს მოითხოვონ მათგან ნებართვა საგანგებო სამეულისა ტფილისში საცხოვრებლად და უკეთუ ასეთი ნებართვა არ აღმოაჩნდებათ,—გაგზავნონ საგანგებო სამეულში მათი პირადი სარეგისტრაციო ბარათები.

5. ის პირნი, რომელნიც წარმოვლენილნი არიან ქალაქ ტფილისს პარტიულ ორგანოებისაგან და მანდატებზე ვიზა აქვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოებისა, აგრეთვე ექვემდებარებიან საფილტრაციო სამეულს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ პირთა მანდატები გატარებულ უნდა იქნეს საფილტრაციო სამეულში მექანიკურად, დაუყოვნებლივ.

6. საგანგებო საფილტრაციო სამეული უნდა შესდგეს არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა და დაევალოს მას იმავ ხანში შეიმუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია და გეგმა თავისი მუშაობისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ კვირკელია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 4
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 113.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—წისქვილის შემოსავლის დაბაჟვის დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ წისქვილის შემოსავლის დაბაჟვის შესახებ 1921 წლ. აგვისტოს 5-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შენიშვნა—2 შემდეგი შინაარსისა.

მინდის პროცენტს—ქერისა, სიმინდისა და სხვა პროდუქტების დაფქვისათვის,—გარდა ხორბლისა, აგრეთვე მინდის პროცენტს ყოველგვარი პროდუქტის დაფქვისათვის, სხვათა შორის ხორბლისაც, ისეთ წისქვილში, რომელიც მექანიკური მამოძრავებლით (მოტორით, ელექტრონით და სხვ. რამ ამგვ.) და აგრეთვე თხიადი სათბობით მაზუთით) მუშაობს,—განსაზღვრავს მაზრის სასურსათო კომიტეტი, მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით; ამასთანავე ეს პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს მინდის იმ რაოდენობას, რასაც ახდევინებდნენ იმავე რაიონში 1921 წლის აგვისტოს 5-დე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ალ. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 10
ტფილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების საავათმყოფო კასების გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს.
    შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.
    შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.
2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 19 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) დანიშნულია ხელოვანთა კავშირის წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველია საკითხები:

1) კავშირის რეორგანიზაცია.
2) მთავარ კომიტეტის წევრების არჩევნები.

მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.